პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 244 (5345) | კვირა, 23 ოქტომბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ საშემოდგომო თესვას (მოწინავე)
„როდინას" მამაცი ეკიპაჟი გზად მოსკოვისაკენ (1-ლი გვერდი)
საბჭოთა მეზღვაურებმა გადაარჩინეს ნორვეგიის გემის ეკიპაჟი (1-ლი გვ.)
მოსახლეობის აღწერათა მოკლე ისტორია (აგიტატორის დასახმარებლად. მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
1917 წლის ოქტომბრის დოკუმენტები (მე-3 გვ.)
ბეს. ჟღენტი — დიდი ქართველი ლირიკოსი (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომა (1-ლი გვ.)
კომპარტიის მოღვაწეობის აკრძალვა ჩეხეთსა და მორავიაში (მე-2 გვ.)
ჩეხოსლოვაკიის ახალი კონსტიტუციის პროექტი (მე-2 გვერდი)
ანტიფაშისტური გამოსვლები სუდეტელ გერმანელთა რაიონებში (მე-2 გვ.).

ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ საშემოდგომო თესვას

ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე ფრიად სერიოზული ამოცანა დგას. „1940 წლისათვის ჩვენ შეგვიძლიან და უნდა უზრუნველვყოთ საქართველო თავისი საკუთარი პურით. ეს ამოცანა დიდია და ამასთან ერთად სავსებით განსახორციელებელი". **(ლ. ბერია).**

საქართველოს უზრუნველყოფა საკუთარი პურით ხელს შეუწყობს აგრეთვე კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას, საკოლმეურნეო დოვლათის შემდგომ ზრდას. ამ საბრძოლო დავალების ბრწყინვალედ შესრულება გვიკარნახებს ყველა ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად შევასრულოთ საშემოდგომო თესვისა და მძრალად ხვნის გეგმები და ამით მტკიცე საძირკველი ჩავუყაროთ მომავალი წლის მაღალ სტალინურ მოსავალს. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ შემოდგომა ფრიად პასუხსაგები პერიოდია სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. შემოდგომაზე ხდება მთელი რიგი საგვიანო კულტურების მოსავლის აღება, სწარმოებს მძრალად ხვნა და სხვ. ამ სამუშაოთა მთელი კომპლექსის მთლიანად და მაღალხარისხოვნად შესრულება 1938 სასოფლო-სამეურნეო წლის სასახელოდ დამთავრების აუცილებელი პირობა.

საშემოდგომო თესვა უდიდესი სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან. მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მრავალგზის მითითებისა საშემოდგომო ხვნა-თესვა ისევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. უკანასკნელმა დეკადამ არ მოგვცა არსებითი გარდატეხა თესვის სამუშაოებში.

თესვის ფრონტზე სამარცხვინო ჩამორჩენას მოწმობს ის, რომ 15 ოქტომბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში საშემოდგომო კულტურები დათესილი იყო 147.361 ჰექტარი—გეგმის 53,8 პროცენტი.

არ არსებობს არავითარი ობიექტური მიზეზები, რომლებიც ამ სამარცხვინო მდგომარეობას ამართლებდეს. ამ მიზეზებზე მითითება მოწმობს მხოლოდ უმოქმედობას და ოპერატიული ხელმძღვანელობის უნარის უქონლობას.

მიწსახკომისა და კერძოდ მარცვლეულ კულტურათა სამმართველოს ხელმძღვანელობა ხვნა-თესვის სამუშაოებისადმი კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მარცვლეულ კულტურათა სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. მირიანაშვილმა ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთოს შექმნილი მდგომარეობიდან.

ჯიშიანი თესლი მაღალი მოსავლის ერთერთი მძლავრი პირობაა. ზოგიერთი რაიონი აჭიანურებს „საქ. სახჯიშფონდის" საწყობებიდან ჯიშიანი თესლის გატანას. ეს ითქმის უპირველეს ყოვლისა ხაშურის, ლუქსემბურგისა და ახალციხის რაიონებზე. ამბროლაურის რაიონში ცუდად სწმენდნენ თესლს. სოფელ ბოსტანის კოლმეურნეობამ გაუწმენდავი თესლი დასთესა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ამბროლაურის რაიმიწგანის გამგე გრ. ბიჭაშვილი ადგილებზე არ ამოწმებს ხვნა-თესვის სამუშაოებს, ადგილებთან დამყარებული არა აქვს ცოცხალი კავშირი. თელავის, ლაგოდეხის, ყვარლისა და აღბულაღის რაიონებში სათესლე მასალის გაწმენდა და შემოწმება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სათესლე მასალის მომზადებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ აგრეთვე ონის, თბილისისა და სამტრედიის რაიონებში. მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ არის უზრუნველყოფილი ტრიერების სადღეღამისო მუშაობა სათესლე მასალის გაწმენდისა და დახარისხებისათვის.

ჩამორჩენა სათესლე მასალის მომზადებაში იმითაც აიხსნება, რომ მიწსახკომის მეთესლეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ი. ბექვაია არასაკმაო ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევს ადგილებს.

საქართველოს ზოგიერთი რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ ხდება თესვის გეგმების შესრულების შემოწმება, შრომა მოუწესრიგებელია, სუსტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სამანქანო-სატრაქტორო პარკი და ცოცხალი გამწევი ძალა სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული, სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ყოველივე ეს იწვევს ჩამორჩენას საშემოდგომო თესვაში. ამით აიხსნება, რომ 15 ოქტომბრისათვის თბილისის რაიონის კოლმეურნეობებში 22.975 ჰექტარიდან დათესილი იყო მხოლოდ 6.472 ჰექტარი—გეგმის 28,2 პროცენტი. ასეთივე ცუდი მდგომარეობაა თესვის მხრივ თელავის რაიონში. 15 ოქტომბრისათვის აქ 16.235 ჰექტარიდან დათესილი ჰქონდათ 3.460 ჰექტარი.

საშემოდგომო თესვის ტემპები აშკარად არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე ხაშურის, გორის, კასპის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს და ლაგოდეხის რაიონებშიც.

დამაფიქრებელი მდგომარეობაა მძრალად ხვნის საქმეში. 15 ოქტომბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში 300.000 ჰექტარიდან მოხნული იყო 60.203 ჰექტარი—გეგმის 20,1 პროცენტი. ამავე რიცხვისათვის გორის რაიონის კოლმეურნეობებს მძრალად ხვნის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 11,6 პროცენტით, გურჯაანისას—21,8-ით, თბილისისას — 13,8-ით, საგარეჯოსას—2,5 პროცენტით. ეს მოწმობს, რომ ზემოხსენებული რაიონების სამიწათმოქმედო ორგანოებს სერიოზულად არ მოუკიდნიათ ხელი მძრალად ხვნისათვის. ეს მაშინ, როცა მძრალად ხვნა მოსავლიანობის გადიდების ერთერთი მძლავრი ბერკეტია.

დასავლეთ საქართველოს რაიონები მძრალად ხვნის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. აბა რით უნდა აიხსნას ის, რომ დასავლეთ საქართველოში ეს სამუშაო დღემდე გაშლილი არ არის. ის ხელმძღვანელი კი, რომელიც არ ზრუნავს მძრალად ხვნის გეგმის დროულად შესრულებისათვის, ცუდი მებრძოლია მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

ახლა შევედით ხვნა-თესვის ისეთ პერიოდში, როცა გადამწყვეტია არა მარტო დღეები, არამედ საათებიც კი. აი რა უნდა იქნას მტკიცედ გათვალისწინებული. ვთესოთ სწრაფად და კარგად. უნდა გავაფრთხილოთ ჩამორჩენილი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომ თესვის შემდგომი გაჭიანურება დანაშაულია სახელმწიფოს ინტერესთა წინაშე. ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ თესვა უახლოეს დღეებში დავამთავროთ.

საშემოდგომო თესვა პარტიული ორგანიზაციების გამოცდა იქნება იმ მხრივ, თუ რამდენად შესწევს მათ უნარი სწორად შეუთავსონ ერთმანეთს პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა და მეურნეობის ხელმძღვანელობა. პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის სწორად შეხამება გამარჯვების საწინდარია. ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის: „ცხოვრებაში, პირიქით, პრაქტიკულად პოლიტიკა და მეურნეობა განუყრელი არიან. ისინი არსებობენ ერთად და მოქმედებენ ერთად. და ის, ვინც ფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის დამცირების ფასად ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დამცირების ფასად, — იგი აუცილებლად ჩიხში ექცევა".

მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვისა და მძრალად ხვნის სახელმწიფო გეგმების ურყევად და მაღალხარისხოვნად შესრულებით მორიგ ახალ წარმატებას მოვიპოვებთ საქართველოს მშრომელთა საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის პლენუმი

22 ოქტომბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგა 26 კომისრის სახ. რაიკომის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა თბილისის მაკარონის ფაბრიკის პარტკომის მდივნის ამხ. **ხომუტოვის** და საფერმენტაციო ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. **პაროიანის** საანგარიშო მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ.

ამხ. ხომუტოვისა და პაროიანის მოხსენებათა გარშემო სიტყვებით გამოსული ამხანაგები: **ი. ლუარსაბოვი** (ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანი), **ბარსეგოვი** (ტრამვაის პარკი), **ბახუტაშვილი** (ქალაქის პირველი საავადმყოფო), **აგანიანი** (სომხური დრამის თეატრი), **პოლოსიანი** (26 კომისრის სახ. რაიკომი), **ალიხანოვი** (ფეხსაცმლის მე-3 ფაბრიკა), **სარქისოვი** (მილიციის სკოლა), **მოსესბეკოვი** (26 კომისრის სახ. რაიკომი), **თარხანოვი** (თბილმშენის მესამე საამშენებლო უბანი), **არუთინოვი** (ხორცკომბინატი), **ბაღდასაროვი** (ორჯონიკიძის სახ. ქარხანა), **ბოგვაძე** (მეტეხის მუზეუმი) და სხვები აღნიშნავდნენ, რომ მთელ რიგ მიღწევებთან ერთად მათ მუშაობას ჯერ კიდევ ახლავს სერიოზული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით: პარტიაში ახალწევრთა მიღების საკითხში, აგრეთვე პარტიულ დავალებათა განაწილებისა და მათი შესრულების შემოწმების საქმეში, საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის მზადებაში და სხვ.

შემდეგ ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის მდივანი ამხ. **სიხარულიძე,** რომელიც ფართოდ შეეხო პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე მიღებულ ღონისძიებათა შესრულების მხრივ რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას; მან მკაცრად გააკრიტიკა რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ხ. იშხანოვი.**

„როდინას" მამაცი ეკიპაჟი გზად მოსკოვისაკენ

სადგური შილკა, 22 ოქტომბერი (**საკდესის სპეცკორი**). მესამე დღეა გზაში იმყოფება ტრანსციმბირის ექსპრესი ხაბაროვსკი - მოსკოვი, რომლითაც მიემგზავრებიან წარჩინებულნი მფრინავი გმირი ქალები, ამხ. გრიზოდუბოვა, ოსიპენკო და რასკოვა. გზა—ჭეშმარიტად ტრიუმფალურია. არ არის ისეთი სადგური, სადაც მატარებლის შესახვედრად არ გამოდიოდნენ მშრომელები და არ ესალმებოდნენ „როდინას" გმირულ ეკიპაჟს. მფრინავი ქალები არ უშვებენ შემთხვევას დაჰყონ მუშათა, რკინიგზელთა, წითელარმიელთა შორის, აღფრთოვანებული ახალგაზრდობისა და გულმხიარულ ბავშვებს შორის.

ვაგონი, რომლითაც ამხ. გრიზოდუბოვა, ოსიპენკო და რასკოვა მიემგზავრებიან, ყოველ სადგურზე იმპროვიზირებულ ტრიბუნას წარმოადგენს, საიდანაც გაისმის პარტიის, მთავრობისა და ამხანაგი სტალინისადმი მხურვალე სიყვარულისა და ერთგულების სიტყვები.

გამოსვლიდან გამოსვლამდე მფრინავი ქალები ისვენებენ, ესაუბრებიან გაზეთების კორესპონდენტებს, კითხულობენ. მათი ვაგონი სწორედ სავსეა მშრომელთა მრავალრიცხოვან საჩუქრებით. აი ალბომი ახალგაზრდობის ქალაქის — კომსომოლსკის სურათებით. კუთხეშია დიდი კალათი საოცარი ახალი ბოსტნეულით— პამიდორით, ბოლოკით, კიტრებით. იგი ტაიგის მებოსტნეთა—მიჩურინელთა საჩუქარია.

პატარა შავი ციყვი. კომსომოლსკის პიონერებმა იგი საჩუქრად უძღვნეს ამხ. რასკოვას მისი ცხრაწლის ქალიშვილის, ტანიასათვის.

მორიგი სადგურია. მფრინავი ქალები სიცილით ადასტურებენ, რომ რკინიგზელებმა კვლავ „ოინი იხმარეს" — მატარებელი ნახევარი საათით ადრე მივიდა, ვიდრე ცხრილის მიხედვით უნდა მისულიყო. კრივონოსელი მემანქანენი განზრახ სჩადიან ამას, რათა გაახანგრძლივონ სამშობლოს გმირულ ქალიშვილებთან მშრომელების შეხვედრის სასიხარულო წუთები. სწრაფად გარბიან კილომეტრები. მალე უკან დარჩება ბაიკალი...

* * *

სადგური ჩიტა, 22 ოქტომბერი (**საკდესის სპეცკორი**). დღეს გათენებისას მატარებელი ჩიტას მიადგა. მიუხედავად ადრიანი საათისა სადგურზე შეიკრიბნენ რკინიგზელები, წითელარმიელები, პერონი განათებულია პროჟექტორებით. მორთულია ღია ფერის ტილოებით. მიტინგზე გამოვიდა ამხანაგი გრიზოდუბოვა. შეკრებილებმა მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

შორეულ აღმოსავლეთის მხარის პრიმორიისა და ხაბაროვსკის მხარეებად დაყოფის შესახებ

1. დამტკიცდეს რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება შორეულ-აღმოსავლეთის მხარის დაყოფის შესახებ ხაბაროვსკის მხარედ, ცენტრით ქალ. ხაბაროვსკში და პრიმორიეს მხარედ ცენტრით ქალ. ვლადივოსტოკში.

2. ხაბაროვსკის მხარის შემადგენლობაში შეტანილ იქნას: ხაბაროვსკის ოლქი, კალინინის, კრასნოარმეისკის რაიონებისა და ბიკინსკის რაიონის ნაწილის გამოკლებით, ამურის, ქვემო ამურის, კამჩატკის, სახალინის ოლქები და ებრაელთა ავტონომიური ოლქი.

3. პრიმორიის ოლქის შემადგენლობაში შეტანილ იქნას: პრიმორიისა და უსურიის ოლქები; ხაბაროვსკის ოლქის კალინინისა და კრასნოარმეისკის რაიონები; ხაბაროვსკის ოლქის ბიკინსკის რაიონის შემდეგი 26 სასოფლო საბჭო—ფედოსიევსკის, ბლაგოვეშჩენსკის, კრასნო-პერევალსკის, ოლონსკის, მეტახეზსკის, ულუნგინსკის, ხტოლნისკის, ბოლშე-სილანსკის, დმიტროვო-ვასილევსკის, ვინოგრადოვსკის, ნადაროვსკის, იგნატიევსკის, ოლგინსკის, ემელიანოვსკის, ჩერნო-რეჩენსკის, ნიჟნე-მიხაილოვსკის, ფედოროვსკის, ნიკიტოვსკის, ტიხონოვსკის, უბიძსკის, გუბეროვსკის, ტარტიშევსკის, კუზნეცოვსკის, მაკაროვსკის, ვესელოვსკის, ზნამენსკის, და ისინი შეუერთდეს კალინინის რაიონს.

4. გაუქმდეს ბიკინსკის რაიონი და ამ რაიონის 13 სასოფლო საბჭო — ერემეტიევსკის, ვიდნენსკის, ლონჩაკოვსკის, კოზლოვსკის, ვასილიევსკის, ალიუტნინსკის, გლებოვსკის, დობროლიუბოვის, ლერმონტოვის, პაშკინის, ბირსკის, ბიკინსკის, ნოვოპოკროვსკის შეუერთდეს ხაბაროვსკის ოლქის ვიაზემსკის რაიონს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ზ. პეტროვსკი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1938 წ. 20 ოქტომბერი.

საბჭოთა მეზღვაურებმა გადაარჩინეს ნორვეგიის გემის ეკიპაჟი

ლენინგრადი, 21 ოქტომბერი (საკდესი). გემი „ტურქსიბი" ამერიკიდან ლენინგრადს ბრუნდებოდა. 20 ოქტომბერს, ღამით, ლენინგრადიდან 280 მილის მანძილზე მისმა რაზმმა შეამჩნია გემი, რომელიც უბედურებას განიცდიდა. ეს იყო ნორვეგიის გემი „ბიმსი". ზღვაში რვაბალიანი ქარიშხალი მძინვარებდა. მძლავრი ზვირთები ძლიერ ხრიდნენ გვერდზე გემს, რომელიც იძირებოდა.

საბჭოთა მეზღვაურები გაეშურნენ „ბიმსის" ეკიპაჟის დასახმარებლად, იშვიათ მძიმე პირობებში ნორვეგიის ყველა 13 მეზღვაური გადაყვანილ იქნა „ტურქსიბის" გემბანზე.

გადარჩენილ ნორვეგიელ მეზღვაურებს კარგი პირობები შეუქმნეს, მათ მთელი ეკიპაჟი მეგობრული ყურადღებით მოეპყრო. ნორვეგიელები ჯანსაღად და მხნედ არიან. დღეს, 9 საათზე, „ტურქსიბი" ტალინში შევიდა და ნორვეგიის მეზღვაურები ნაპირზე გადასხა, მათ გულმხურვალე მადლობა უძღვნეს საბჭოთა მეზღვაურებს გადარჩენისა და მზრუნველობისათვის.

„ტურქსიბი" ლენინგრადში 22 ოქტომბერს დილით მოვა.

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომა

პარიზი, 21 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ შესდგა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ც. კ.-ის პოლიტბიუროს სხდომა. პოლიტბიურომ აღნიშნა, ნათქვამია გამოქვეყნებულ კომუნიკეში, რომ საფრანგეთში უკვე ვერავინ ჰბედავს საჯაროდ მოიწონოს მიუნხენის შეთანხმება, რომლის წინააღმდეგ დეპუტატთა პალატაში ხმა მისცა მხოლოდ ერთმა კომუნისტურმა პარტიამ, და რომლის გამანადგურებელმა შედეგებმა გავლენა მოახდინეს საფრანგეთის უშიშროებაზე, მშვიდობიანობისა და დემოკრატიის დაცვის საქმეზე.

პოლიტბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუნხენის კაპიტულაციამ გააძლიერა პრეტენზიები ფაშისტთა სახელმწიფოებისა, რომლებიც, მიაღწიეს რა ჩეხოსლოვაკიის დანაწილებას, დაჟინებით მოითხოვენ მათთვის რესპუბლიკელთა ესპანეთის გადაცემას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა საფრანგეთის უფრო მეტი იზოლაცია და მისი საზღვრების უფრო მეტი დასუსტება.

პოლიტბიურომ გადასწყვიტა გააძლიეროს კამპანია საფრანგეთისა და რესპუბლიკური ესპანეთის საზღვრის გასახსნელად, ესპანეთის ტერიტორიიდან ფაშისტთა ჯარის გასაწვევად, საფრანგეთის ზედმეტი პურის ესპანეთის რესპუბლიკელთა მთავრობისადმი მიწოდების სასარგებლოდ და აგრეთვე ესპანეთის ოქროს იმ მარაგის აღდგენისა და რესპუბლიკელთა მთავრობისადმი გადაცემის სასარგებლოდ, რაც საფრანგეთის ბანკში ინახება.

შემდეგ პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ ყველა კომუნისტის მოვალეობას შეადგენს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საფრანგეთის მშრომელთა ესპანეთის გმირულ ხალხთან სოლიდარობის დემონსტრაციის მომზადებაში. რომელიც დანიშნულია 6 ნოემბრისათვის.

ეხება რა ამჟამად ბარსელონაში მიმდინარე ტროცკისტულ პოუმის პროცესს, პოლიტბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როგორც საგამომძიებლო მასალებმა დაგვანახვეს, ტროცკისტები პოუმიდან მოქმედებდნენ გესტაპოს დავალებით გენერალ ფრანკოს სასარგებლოდ, რომ ისინი ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ ფრონტში და აპირებდნენ დაეხოცათ ნეგრინის მთავრობის წევრები.

პოლიტბიურო მთელი ძლიერებით ადასტურებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთგულებას სახალხო ფრონტისადმი.

პოლიტბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკურ დაწესებულებათათვის შექმნილი მუქარა წარმოადგენს იმ პოლიტიკის შედეგს, რომელსაც დალადიეს მთავრობა ახორციელებს ფაშისტური ორგანიზაციის „კაგულარების" მიმართ, რომელთა მეთაურები განთავისუფლებულ იქნენ.

პოლიტბიურომ გადასწყვიტა გაშალოს კამპანია სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა და მუშების ხელფასის გადიდების სასარგებლოდ. მან დაავალა პარლამენტის საფინანსო კომისიის შემადგენლობაში შემავალ კომუნისტებს მოითხოვონ ამ კომისიის მოწვევა და წინადადება მისცენ მას სასწრაფოდ განიხილონ მოსამსახურეებისათვის ხელფასისა და უმუშევრობის დროს დახმარების გადიდების საკითხი, აგრეთვე განიხილოს პროექტი ღრმად მოხუცებულ მშრომელთათვის პენსიის დაწესების შესახებ, რაც მიღებული იყო სოციალური უზრუნველყოფის კომისიის მიერ.

პოლიტბიურო ერთსულოვნად ფიქრობს, რომ მუშათა კლასის ცდა, მიმართული ნაციონალური თავდაცვის უზრუნველყოფისაკენ, უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ პრობლემასთან, რომ ხელისუფლების სათავეში იდგეს მთავრობა, რომელიც სახელმწიფოს ნდობით სარგებლობს, და რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელში არ ჩაუგდოს საფრანგეთი საერთაშორისო ფაშიზმს. ასეთი ნდობა ვერ დაიმსახურა იმ ხალხმა. რომელიც მიუნხენის შეთანხმებაში მონაწილეობდა.

ჩეხოსლოვაკიის მინისტრების მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან

პრაღა, 21 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ბერლინში მოლაპარაკება დაიწყო გერმანიის მთავრობასა და ჩეხოსლოვაკიის მინისტრებსა — კალფუსა, კარვაშსა, ფეიერაბენდსა და ვავრეჩკას შორის. მოლაპარაკება სწარმოებს ორივე მხარეს შორის ეკონომიური ურთიერთობათა საკითხებზე (სარკინიგზო მიმოსვლა, საკითხი საბაჟო უნიის შესახებ, ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლების მიერ ოკუპირებულ რაიონებში დატოვებული ქონების შესახებ და სხვ.).

გერმანიის ფირმასთან დადებული ხელშეკრულების გაუქმება ირანის მთავრობის მიერ

თეირანი, 21 ოქტომბერი (საკდესი). ირანის მთავრობამ სექტემბერში გააუქმა ის კონცესია. რომელიც გადაცემული ჰქონდა 2 წლის წინათ გერმანიის გაერთიანება „ფეროშტალს" სპილენძის მადნით მდიდარ ანარეკის რაიონში (ისფაჰანის პროვინცია) სპილენძის მოპოვებაზე.

ირანის მთავრობასთან 1936 წელს დადებული ხელშეკრულებით კონცესიონერმა იკისრა უახლოეს ვადაში აეყვანოს მადნის მოპოვება წელიწადში 4.000 ტონამდე; ამასთან 2.000 ტონა უნდა გადასცემოდა კონცესიონერს კონცესიაზე მოზიდული გერმანული მოწყობილობის საფასურის დაფარვის ანგარიშში ანარეკში გერმანიის ფირმის მუშაობის ორი წლის პრაქტიკამ გააცრუა ყველა იმედი, რომელსაც ამყარებდა ირანის მთავრობა „ფეროშტალზე". მადნის მოპოვებას კონცესიონერი აწარმოებდა პრიმიტიული საშუალებით. მას დანაპირები მოწყობილობა არ შემოუტანია. მუშათა ცხოვრებისა და შრომის პირობები ანარეკში კონცესიის ტერიტორიაზე მეტად მძიმე იყო.

კონცესიაზე მძვინვარებდა სახადი. წყალი და საკვები პროდუქტები მუშათათვის მოჰქონდათ არარეგულარულად. კონცესიონერმა არ შეასრულა არც მადნის მოპოვების ვალდებულებანი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობებში ნათქვამია, რომ 20 ოქტომბერს დილით ადრე რესპუბლიკელთა ჯარმა მოიგერია მეამბოხეებისა და ინტერვენტების იერიში ებროს ქვემო მდინარების ზონაში.

ცენტრალური ფრონტი

ფრონტის ესტრემადურის უბანზე, პუებლა დე ალკოსერის სექტორში, რესპუბლიკელთა ჯარმა წარმატებითი იერიშის შედეგად დაიკავა მაღლობი 391.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

○

20 ოქტომბერს დილით იტალიის „სავოიის" ტიპის 10 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა რამდენიმე პუნქტს ჩრდილო კატალონიის ზონაში. არის ადამიანთა მსხვერპლი. ამავე დღეს საღამოს უცხოეთის ფაშისტურმა თვითმფრინავმა ბარსელონის ნავსადგურში რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო.

ა. მ. ბრიანდინსკი

მოსკოვი, 22 ოქტომბერი (**ბილდ აპარატით ჩვენი საკ. კორ.**). სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა საბჭოთა კავშირის გმირი, ბრიგადის მეთაური ალექსანდრე მათეს-ძე ბრიანდინსკი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ მფრინავ კოკინაკისთან ერთად მოახდინა სახელოვანი ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი-შორეული აღმოსავლეთი. დღეს „კრასნაია ზვეზდა" ლოქტიონოვის, კოკინაკის, დანილინის, ბელიაკოვის, სპირინის, პროკოფიევის და სხვების ხელმოწერით ათავსებს ამხ. ბრიანდინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნეკროლოგს.

ამხ. ბრიანდინსკის ჰქონდა ღრმა ცოდნა და უდიდესი საფრენოსნო გამოცდილება. აერონავიგაციას სავსებით დაუფლებულმა ბრიანდინსკიმ დამსახურებულად დაიკავა საპატიო ადგილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო შტურმანთა პირველ მწყობრში. მის მიღწევებსა და წარმატებებზე იზრდებოდა საავიაციო ახალგაზრდობა, არმიის აერონავიგატორთა კადრები. იგი იყო იმ ადამიანთა რიცხვში და სათავეში, რომლებმაც მაღლა აღმართეს საჰაერო ნავიგაციის დროშა და საჰაერო ნავიგაცია სრულფასიან და საბრძოლო მეცნიერებად გადააქციეს.

ამხ. ბრიანდინსკის მთელი ცხოვრება სამშობლოს, ხალხისათვის სამსახურის ნიმუშს წარმოადგენს. ამხ. ბრიანდინსკის მთელი ცხოვრება — ეს არის მისწრაფება ცოდნისადმი, განუწყვეტელი და გულმოდგინე მუშაობა საკუთარ თავზე. იგი დავალებულ საქმეს ახმარდა მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას, მუშაობდა ძალების უდიდესი დაჭიმვით და იშვიათი ნაყოფიერებით. უაზრო სიკვდილმა შესწყვიტა ეს შესანიშნავი სიცოცხლე. დანაკლისი მძიმეა და მწარე. ცნობას ბრიანდინსკის დაღუპვის შესახებ მწუხარებით შეხვდებიან წითელი არმიის ყველა ნაწილებში, არმიის, რომლის სახელოვანი წარმომადგენელიც იგი იყო, მწუხარებით შეხვდება მთელი საბჭოთა ხალხი, რომლის გმირიც იგი იყო.

ამხ. მიხა ცხაკაიას შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან

სოხუმი, 22 ოქტომბერი (**ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან**). 22 ოქტომბერს, საღამოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს უხუცესი დეპუტატი ამხანაგი **მიხა ცხაკაია** შეხვდა თავის ამომრჩევლებს — სოხუმის რაიონის ეშერის სოფლის საბჭოს მშრომელებს. შეხვედრას დიდძალი ხალხი დაესწრო. თავის სიტყვაში მიხა ცხაკაია შეეხო უმაღლესი საბჭოების ჩატარებულ არჩევნებს და სტალინური კონსტიტუციის ბრწყინვალე გამარჯვებას. უხუცესი დეპუტატი თავის ამომრჩევლებს ელაპარაკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი და მეორე სესიების მუშაობის შედეგებზე. მან ილაპარაკა საბჭოთა ამომრჩევლებისა და დეპუტატის ურთიერთკავშირის შესახებ, ჩვენი საარჩევნო კანონის უდიდესი დემოკრატიულობის შესახებ, საბჭოთა სამშობლოს სიძლიერის, მისი ბიუჯეტის, საბჭოთა სასამართლო წყობილების, საბჭოთა მოქალაქეობის და სხვა საკითხების შესახებ.

ამხანაგ ცხაკაიას სიტყვის შემდეგ გამოვიდა ეშერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი არზამენ ამბა. ის მიესალმა დეპუტატს. მისალმებით გამოვიდა აგრეთვე იმავე მეურნეობის სტახანოველი ქალი მარია აფონიჩევა, რომელმაც ცხაკაიას მიართვა საჩუქრად უხვად მოსხმული მანდარინის ტოტი. მასწავლებელმა ვასილ კუპანიამ სოფლის ინტელიგენციის სახელით მხურვალე სალამი გადასცა დეპუტატს. მისალმებებით გამოვიდნენ კოლმეურნეები: კარიგინ მიქაელიანი და ალექსანდრე ხარბედია. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მოხუცი კოლმეურნის აფხაზ ბადრან ავიცბას გამოსვლამ. მან მოუთხრო დეპუტატს და ხალხს იმ ტანჯვისა და ჩაგვრის შესახებ, რასაც ძველი დროიდანვე განიცდიდა როგორც ეშერის, ისე მთელი აფხაზეთის ხალხი, — თურქი მძარცველი კოლონიზატორებისა და მეფისა და მენშევიკების ბატონობის წლებში. — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გვიხსნა ამ ტანჯვისაგან და მოგვცა ნამდვილი ადამიანური ბედნიერი ცხოვრება, — განაცხადა მოხუცმა. შემდეგ მან თავის დეპუტატს უსურვა ხანგრძლივი ცხოვრება და ჯანმრთელობა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

შეხვედრის დასასრულს სოხუმის პარტრაიკომის მდივანმა დომენტი ალანიამ ამომრჩეველთა სახელით შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა ამხანაგ მიხა ცხაკაიას. დეპუტატს ყვავილების მრავალი თაიგული მიართვეს პიონერებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ.

გ. მერკვილაძე.

საინფორმაციო ცნობა

1938 წლის 19 ოქტომბერს შესდგა საქართველოს ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის მორიგი IV პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **შ. ჭანუყვაძის** მოხსენება კომკავშირელთა მოქმედი დოკუმენტების 1938 წლის ნიმუშის ახალი დოკუმენტებით შეცვლისათვის მზადების შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

პლენუმმა საქართველოს ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. **რ. წულუკიძე.** (საქდესი).

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის" ცნობებით 20 ოქტომბრისათვის

წელს საქართველოში გეგმით უნდა მოიკრიფოს 35.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. 20 ოქტომბრისათვის მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული იყო სულ 32.948,1 ტონა ფოთოლი, წლიური გეგმის 94,1 პროცენტი. როგორც „კომუნისტში" იყო აღნიშნული, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებმა და ჩოხატაურის რაიონმა უკვე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. კრეფის წლიური გეგმის შესრულება დასასრულს უახლოვდება მახარაძის რაიონში.

ცალკე რაიონების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა. ლანჩხუთის რაიონს, ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა 82,8 პროცენტით, სამტრედიისას—82,8-ით, წულუკიძისას—87,5-ით. ქუთაისისას — 73,5-ით, ტყიბულისას—72,7-ით, ცხაკაიასას—72,5-ით, გეგეჭკორისას — 90,1-ით, ზუგდიდისას—86,9-ით, წალენჯიხისას - 87,4-ით, ჩხოროწყუსას—87-ით, ხობისას—92,9 პროცენტით.

ოქტომბერში დამზადდა 2.510,5 ტონა ჩაის ფოთოლი, თვიური გეგმის 42,8 პროცენტი. ჩაის კრეფის ოქტომბრის გეგმის შესრულებაში ყველაზე მეტად ჩამორჩნენ ტყიბულის, ცხაკაიას, ქუთაისის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, წულუკიძისა და სამტრედიის რაიონები.

ჩაის ფოთლის კრეფის ოქტომბრის მეოთხე ხუთდღიურის ცნობები ნაბაკევის (გალის რაიონი), შრომის (მახარაძის რაიონი), ჩხოროწყუს და დიდი-ჭყონის (გეგეჭკორის რაიონი) პირველ ჩაის ფაბრიკებზე საორიენტაციოა მოცემული.

ოქტომბრის პირველ ხუთდღიურში დამზადდა 334,7 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორეში—539,5 მესამეში—624, მეოთხეში—1.012,3.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში ძალიან ჩამორჩნენ წულუკიძის, ნარაზენის, ლესიჭინის, წალენჯიხისა და ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობები.

კომპარტიის მოღვაწეობის აკრძალვა ჩეხეთსა და მორავიაში

პრაღა, 21 ოქტომბერი (საკდესი). ბერლინიდან მიღებულ მითითებათა თანახმად, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ფაქტიურად ატარებს თავისი ქვეყნის თანდათანობით ფაშიზაციას. გამოქვეყნებულია ოფიციალური განკარგულება კომუნისტური პარტიების მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ ჩეხიისა და მორავიის ტერიტორიებზე; აკრძალულია აგრეთვე კომუნისტური გაზეთებისა და ჟურნალების გამოსვლა. კომუნისტური პარტიების კომიტეტებისა და რედაქციების ქონებას კონფისკაციას უშვრებიან.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა აკრძალულია რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, იმიერკარპატის უკრაინის გამოკლებით.

ნახევრადოფიციალური წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამავდროულად პარლამენტის კომუნისტურ დეპუტატებს წაერთმევათ მანდატები.

რეაქციული პრესა მთავრობის ამ ღონისძიებებს აშკარა აღტაცებით შეხვდა. სოციალ-დემოკრატიული პრესა და ჩეხი სოციალისტების პრესა მთავრობის ამ დადგენილებას, რომელიც გამოტანილია ბერლინისა და შინაურ რეაქციის საამებლად, დუმილით ხვდება.

ჩეხოსლოვაკიის ახალი კონსტიტუციის პროექტი

პრაღა, 20 ოქტომბერი (საკდესი). თავისი მუშაობა ძირითადად დაამთავრა იმ კომისიამ, რომელიც მთავრობის მიერ არის გამოყოფილი ახალი კონსტიტუციის მოსამზადებლად და რომელიც შესდგება კოალიციური პარტიების წარმომადგენლებისა და სპეციალისტ-ექსპერტებისაგან. კომისია წინადადებას იძლევა ჩეხოსლოვაკიას ეწოდოს „ჩეხების, სლოვაკებისა და კარპატელი-რუსინების სახელმწიფო“. კომისიის პროექტი შეიცავს ახალ დებულებას არჩევნების შესახებ, საერთო-რესპუბლიკური პარლამენტის, ავტონომიური ლანდტაგების უფლებებისა და კომპეტენციის, პრეზიდენტის უფლებების განსაზღვრას, ახალ დებულებას მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების შესახებ (ალბათ, ლაპარაკია პოლიტიკურ თავისუფლებათა შეზღუდვაზე) და სხვ.

ანტიფაშისტური გამოსვლები სუდეტელ გერმანელთა რაიონებში

ბერლინი, 21 ოქტომბერი (საკდესი). სუდეტელ გერმანელთა რაიონებში, რომლებიც გერმანიის ჯარების მიერ არის ოკუპირებული, ანტიფაშისტურმა გამოსვლებმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ამ გამოსვლების შესახებ ცნობები გერმანიის პრესის ფურცლებზედაც კი იბეჭდება. დღევანდელი გაზეთები იძულებული არიან მოათავსონ სპეციალური სტატიები სუდეტელ გერმანელთა რაიონებში მომხდარი მთელი რიგი გამოსვლების შესახებ. ერთერთი დიდი გამოსვლა მოხდა დაბა აისკოვიც-შელეხოვიცში, სადაც აჯანყებულებმა მოსპეს ჰიტლერის პორტრეტები, ჩამოჰგლიჯეს ფაშისტური დროშა, რომელზედაც გამოხატული იყო სვასტიკა.

აჯანყებულებსა და ტყვიამფრქვევებითა და კარაბინებით შეიარაღებულ გერმანელ პოლიციელებს შორის გაიმართა ბრძოლა, რომლის შედეგადაც მოკლულია 5 კაცი და დაჭრილია რამდენიმე კაცი. შეტაკება მოხდა აგრეთვე გაბლონცის სამხრეთ-აღმოსავლეთით. „მესამე ზონის“ მთელ რიგ რაიონებში აგრეთვე აღნიშნულია მოსახლეობის სერიოზული გამოსვლები. აჯანყებულებმა ჩამოჰგლიჯეს ფაშისტური დროშები, გასწყვიტეს სატელეფონო კავშირი და მოითხოვეს დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება. გერმანიის ხელისუფლებამ ამ რაიონებში გაჰგზავნა მოიერიშეთა მოტორიზებული პოლიციის დიდი რაზმები.

ჰიტლერი ხელმეორედ გაემგზავრა სუდეტელ გერმანელთა რაიონებში.

უნგრელ ფაშისტთა ბანდების თავდასხმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე

პრაღა, 21 ოქტომბერი (საკდესი). უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაძლიერდა უნგრელთა შეიარაღებული ბანდების მოქმედება, რომლებიც გადაჰყავთ სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის ტერიტორიაზე. ამ დღეებში 130 კაცისაგან შემდგარი ბანდა, რომელიც დარაზმეს და შეაიარაღეს უნგრეთის ტერიტორიაზე, გადავიდა საზღვარზე, გააჩერა მატარებელი, მოჰკლა მემანქანე, გაძარცვა მგზავრები და აშალა რკინიგზის ლიანდაგი. ბანდამ მიიღო დავალება გაენადგურებინა ვაგზალი ქალაქ მუნკაჩევოში და რკინიგზის ხიდი პოდგორიანში, მაგრამ ვერ მოასწრო დავალების შესრულება, რადგან იგი განაიარაღეს და დააპატიმრეს ჩეხოსლოვაკიის არმიის ნაწილებმა. 18 ოქტომბერს იმიერკარპატის უკრაინის ტერიტორიაზე გადავიდა 1.000 კაცზე მეტი, შეიარაღებული ტყვიამფრქვევებით, შაშხანებითა და მომარაგებული ასაფეთქებელი ნივთიერებით. სროლის შედეგად, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილებსა და თავდამსხმელებს შორის მოხდა, არიან მოკლულნი და დაჭრილნი. თითქმის მთელი ბანდა ტყვედ წაიყვანეს და იგი მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით, უნგრეთის ტერიტორიაზე, ჩეხოსლოვაკიის მოსაზღვრე რაიონებში, ეწყობა სპეციალური რაზმები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე თავდასხმებისათვის. რაზმები იღებენ ტანისამოსსა და იარაღს და გადიან რეგულარულ სამხედრო წვრთნას. სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის საზღვრის მახლობლად იმყოფებიან დაახლოებით 10.000 კაცისაგან შემდგარი ასეთი რაზმები.

პროცესი გერმანიის ჯაშუშთა ცენტრისა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ გერმანიის ჯაშუშთა ცენტრის პროცესზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრალდებული რუმრიხი თავის ჩვენებებში დაწვრილებით ეხებოდა იმას თუ როგორ ცდილობდა იგი განეხორციელებინა გეგმა, რომელიც მის მიერ დასახული იყო სარეალიზაციოდ ჯერ კიდევ 31 იანვარს — ეშოვნა ამერიკული პასპორტების 50 ბლანკი, რათა „ისინი გამოეყენებინა სსრ კავშირში გერმანიის ჯაშუშების გაგზავნის მიზნით“. რუმრიხმა განაცხადა, რომ მხოლოდ 14 თებერვალს დაურეკა მან ტელეფონით საპასპორტო ბიუროს და თავისი თავი დაასახელა როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალთანამდებობის მოხელე და სთხოვა გაუგზავნოს პასპორტების 50 ბლანკი მოგონილ უესტონს ნიუ-იორკის ერთერთ სასტუმროში.

იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ჩავარდნა, რუმრიხი ტელეფონით შეუთანხმდა, რომ პასპორტებიანი პაკეტი სასტუმროდან გაეგზავნათ რესტორანში, სადაც მან მეორე დღეს გაჰგზავნა შიკრიკი. პოლიცია გაჰყვა ამ შიკრიკის კვალს და დააპატიმრა რუმრიხი, შემდეგ რუმრიხმა განაცხადა, რომ მან ჯერ კიდევ თავის დაპატიმრებამდე, უწოდა რა თავის თავს არმიის ოფიცერი, იშოვნა ნიუ-იორკის რაიონში იმ ჯარისკაცთა სია, რომლებიც ჰოსპიტალში მკურნალობდნენ ვენერიული დაავადებისაგან. რუმრიხი დააპატიმრეს 15 თებერვალს და მეორე დღეს იგი ყველაფერში გამოტყდა.

რუმრიხმა აგრეთვე აჩვენა, რომ უკვე მისი დაპატიმრების შემდეგ გერმანიიდან მოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა შპილმანი (გერმანიის საზღვაო კონტრდაზვერვის თანამშრომლის ოფიცერ ფეიფერის ფსევდონიმი).

პროკურორმა წაიკითხა ეს წერილი, რომლითაც რუმრიხს აცნობებდნენ, რომ „თუ გინდათ იმ სამუშაოზე დარჩეთ, თქვენ უნდა შეისწავლოთ ევროპული მეთოდები“. წერილი აფრთხილებდა რუმრიხს, რომ მორიდებოდა ზედმეტ ლაპარაკს „თავისი საქონლის“ შესახებ. ამ წერილით რუმრიხს აგრეთვე ატყობინებდნენ, რომ „ჩვენი წარმომადგენელი ჯენი (ჰოფმანი) თქვენთან ერთად განიხილავს თქვენ მიერ მოთხოვნილ საფასურს — 300 დოლარი ბეწვეულისათვის“. განმარტა რა ეს წერილი, რუმრიხმა აჩვენა, რომ ბეწვეულით ნაგულისხმევი იყო პასპორტის ბლანკები ან, შესაძლოა, ავიამზიდების „იორკტაუნის“ და „ენტერპრაისის“ გეგმები.

განაგრძობს რა თავის ჩვენებას, რუმრიხი აცხადებს, რომ ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია და პოლიციამ პირისპირ შეახვედრა იგი ჰოფმანს. ჰოფმანი გამოტყდა, რომ იგი დადიოდა რუმრიხთან, მაგრამ უარჰყო თავისი მონაწილეობა შპიონაჟში. მაგრამ უფრო გვიან პოლიციამ წარუდგინა ჰოფმანს ჯაშუშური კოდები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მას უპოვნეს. ამის შემდეგ იგი გამოტყდა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ჰოფმანი თავის ჩვენებებში აღნიშნავს, რომ პირველად იგი შეხვდა გერმანიის აგენტს შლიუტერს, როდესაც ისინი ორივენი მუშაობდნენ გერმანიის გემზე („ჩრდილო-გერმანიის ლოიდის“ საზოგადოება), რომელიც გერმანიასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის დადიოდა 1936 წელს. მას შემდეგ, რაც ორივე ისინი — ჰოფმანი და შლიუტერი — გადაიყვანეს მეორე გემზე — „ევროპაზე“, შლიუტერმა სთხოვა მას გადასცეს წერილი გრიბლს ნიუ-იორკში. შლიუტერი თან გაჰყვა მას გრიბლის ბინაზე, სადაც ჰოფმანს ესმოდა მისი ლაპარაკი გრიბლთან ამერიკის სამხედრო ავიაციის შესახებ. (გრიბლსაც ბრალი ედება შპიონაჟში, მაგრამ იგი გერმანიაში გაიქცა). გრიბლის ბინიდან შლიუტერმა ჰოფმანი მიაცილა დოქტორ შაიდის ბინაზე, სადაც იგი და შაიდი აგრეთვე იხილავდნენ ამერიკის სამხედრო ავიაციის საკითხებს (დოქტორ შაიდის გვარი დღემდე არ ყოფილა ნახსენები პროცესზე). უფრო გვიან შლიუტერმა აცნობა ჰოფმანს, რომ იგი ეწევა სამხედრო ცნობების შეგროვებას და დასძინა, შაიდიც გერმანიის ჯაშუშიაო. შემდეგ ჰოფმანი თავის ჩვენებაში აცხადებს, რომ ამ დროიდან მას გადაჰქონდა ყველა დოკუმენტი, რომლებსაც შლიუტერს მიაწერენ. ჰოფმანი აგრეთვე გამოტყდა, რომ იგი შლიუტერთან ერთად დადიოდა რუმრიხის ბინაზე. ჩვენებაში იგი აცხადებს, რომ „შლიუტერმა ჩემი თანადასწრებით მიიღო რუმრიხისაგან სასიგნალო კოდი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მე ჩემს ჩანთაში ჩავდე“.

მოკლე ცნობები

20 ოქტომბერს დილით დალადიეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა სოციალისტური პარტიის ლიდერ ლეონ ბლიუმთან. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ბლიუმმა განაცხადა, რომ დღევანდელი საუბარი შეეხებოდა პოლიტიკურ, ფინანსიურ და დიპლომატიურ პრობლემებს. „როგორც საერთაშორისო კონფერენციებზე ამბობენ ხოლმე, — დასძინა ბლიუმმა, — ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუბარი მიმდინარეობდა სრული თანხმობის ატმოსფეროში“.

* * *

◆ ინგლისის კარგად ინფორმირებულ პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ უახლოეს დროში ჩემბერლენი კვლავ უშუალოდ მიმართავს ჰიტლერს იმისთვის, რათა გამოარკვიოს, თუ რა პირობებით დასთანხმდება ჰიტლერი დაამყაროს ეგრედწოდებული „საერთო მშვიდობიანობა“.

ამ დღეებში გაზეთმა „ტაიმსმა“ გააჩაღა კამპანია ჰიტლერისადმი შემდგომ დათმობათა გეგმისა და კერძოდ იმ გეგმის პოპულარიზაციისათვის, რომელიც ითვალისწინებს გერმანიისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭებას აღმოსავლეთში.

◆ თანახმად გაზეთ „ივნინგ სტანდარტის“ ცნობებისა, ირანის ყურის სანაპიროს იმ ტერიტორიაზე, რომელიც კონცესიით მიეცა ამერიკის ნავთის კომპანიას „სტანდარტ ოილ კომპანი ოფ კალიფორნიას“, ალხასის პროვინციაში აღმოჩენილია ნავთის ახალი წყაროები, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ. კომპანიამ დაიწყო ამ წყაროების ექსპლოატაცია. პირველი 3 ჭაბურღილი ყოველდღიურად იძლევა 400-ტონაზე მეტ ნავთს. უახლოეს დროში ექსპლოატაციაში შევა კიდევ 12 ნავთის ჭაბურღილი.

* * *

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ანესში (აღმოსავლეთი საფრანგეთი, ზემო სავოიას დეპარტამენტი) დაპატიმრებულია იტალიის საკონსულოს თანამშრომელი ვიტორიო დი რესტა. სააგენტოს სიტყვით, პოლიციის ხელისუფალთა მიერ გამორკვეულია დი რესტას კავშირი მუტიერში (სავოიას დეპარტამენტი) მყოფ იტალიის საკონსულოს თანამშრომელ ადრიენ გროსსთან, რომელიც ადრე იყო დაპატიმრებული და ბრალი ედებოდა ჯაშუშობაში. გროსი მოქმედებდა დი რესტასაგან მიღებული დირექტივების თანახმად.

თბილისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სახნავი მინდვრის ერთერთი უბნის კულტივაცია თესვის წინ.
ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

გამოწვევა აღფრთოვანებით მიიღეს

(სამტრედია, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომმა ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოიწვია ზონის ინსტრუქტორთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის, სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეთა მიმართვა მახარაძის რაიონის არტელ „შრომის“ კოლმეურნეთადმი მასობრივი თავდაცვითი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ, რაც გამოქვეყნებული იყო 30 სექტემბრის „კომუნისტში“.

რაიკომის ინსტრუქტორებმა და რაიონის პროპაგანდისტებმა თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს მუშაკებთან ერთად ყველა კოლმეურნეობებში ჩაატარეს კრებები, რომლებზედაც გულდასმით იქნა განხილული მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გაშლის საკითხები.

დიდი-ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის სტახანოველმა კოლმეურნეებმა კ. რუხაძემ და ე. ნუცუბიძემ აიღეს ვალდებულება ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავისათვის ჩააბარონ ნორმები ვოროშილოვური მსროლელის პირველი საფეხურის ნიშანზე და გახდნენ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის წევრები. მათ სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს თავისი ბრიგადის წევრები.

აღნიშნული მიმართვა უდიდესი აღფრთოვანებით განიხილეს საჯავახოს სოფლსაბჭოს ბარ-საჯავახოს კოლმეურნეობაშიაც. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეები ნინო გოგიტაური, შ. მსხრიკაძე, ე. ვაშაკიძე, უ. ვაშაყმაძე, ა. ხაბეიშვილი, რომლებმაც აიღეს ვალდებულება, რომ გახდებიან თავდაცვა-ავიაქიმის წევრები, უმოკლეს ვადაში ჩააბარებენ ნორმებს ნიშანზე: „მზად ვართ საჰაერო ქიმიური თავდაცვისათვის“. ბარ-საჯავახოს კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია კოლმეურნეობა „წითელი სხივი“.

კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ კოლმეურნეებმა აღფრთოვანებით მიიღეს გამოწვევა და სოცშეჯიბრებაში შეიტანეს მუხლი, რომ თავდაცვითი მუშაობის გაშლასთან ერთად, ოქტომბრის რევოლუციის წლისთავისათვის საწარმოო გეგმებს 150-200 პროცენტით შეასრულებენ.

მიმართვას გამოეხმაურა კულაშის სოფლსაბჭოს კვირიკეს კოლმეურნეობა, სადაც ვოროშილოვური მსროლელის ნიშანზე ნორმების ჩაბარებისათვის ემზადება 25 კოლმეურნე, ხოლო თავდაცვა-ავიაქიმის წევრად გახდა 120.

გ. სიხარულიძე

თამბაქოს დამზადება

„საქთამბაქნედლეულის“ ცნობებით 20 ოქტომბრისათვის

მიმდინარე წელს მთელს საქართველოში უნდა დამზადდეს 15.554 ტონა თამბაქო. 20 ოქტომბრისათვის დამზადებული იყო 1.252,4 ტონა თამბაქო, წლიური გეგმის 8 პროცენტი.

ოქტომბერში დამზადდა 1.027,4 ტონა თამბაქო. ოქტომბრის გეგმა სექტემბრის დანაკლისის ჩათვლით შესრულებულია 45,3 პროცენტით.

თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმა წინა თვის დანაკლისის ჩათვლით აფხაზეთის ასს რესპუბლიკას შესრულებული ჰქონდა 28,8 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკას — 66,8, ლაგოდეხის რაიონს 63,5 პროცენტით, სიღნაღისას — 51,9-ით, წითელ-წყაროსას — 80,3-ით, ყვარლისას — 27,7-ით, გურჯაანისას — 209,1-ით, ბორჩალოსას—29,9-ით, ლუქსემბურგისას — 61,7-ით, ზუგდიდისას — 62,2-ით, ჩხოროწყუსას —56,6-ით, ჩოხატაურისას — 57,7 პროცენტით.

ეს მოწმობს, რომ ზოგიერთ რაიონში თამბაქოს დამზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ჩამორჩენის გამოსასწორებლად საჭიროა თამბაქოს პირველადი გადამუშავება უზრუნველყოფილ იქნეს მუშა-ხელით, თვითეულ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს თამბაქოს აღების კალენდარული გეგმა. ჩამორჩენილმა რაიონებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ თამბაქოს დამზადების ტემპების გასაძლიერებლად.

თიანეთის რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა

ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას

თიანეთის რაიონმა 22 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა შეასრულა 101 პროცენტით, ხვნისა კი 125 პროცენტით. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი **მრელაშვილი**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ზატუაშვილი**

ხუთი ვაგონი მანდარინი ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ბათუმი, 22 ოქტომბერი (საქდესი). ხალიშენის, მახინჯაურის, ციხისძირისა და გონიოს საბჭოთა მეურნეობებში 25 ოქტომბრიდან დაიწყება მანდარინების შერჩევითი კრეფა. 1 ნოემბრამდე აჭარის ციტრუსოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში მოიკრიფება ხუთი ვაგონი ანუ 500 ათასი ცალი მანდარინი და ოქტომბრის 21 წლისთავისათვის გაიგზავნება მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში, 1 ნოემბერს ბათუმიდან მოსკოვს გაიგზავნება პირველი ორი ვაგონი მანდარინი. მანდარინის მასობრივი კრეფა დაიწყება 10 ნოემბრიდან.

ტუნგოს პირველი მოსავალი

სოხუმი, 22 ოქტომბერი (საქდესი). ოჩამჩირის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში უკვე დამწიფდა ტუნგოს ნაყოფი.

მოქვის ტუნგოს მიმღებმა პუნქტმა უკვე დაიწყო ტუნგოს ნაყოფის მიღება. მოქვისა და კოდორის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობა „კომინტერნმა“ მიმღებ პუნქტს უკვე ჩააბარეს 9750 კილოგრამი ტუნგოს პირველი მოსავალი. ტუნგოს ნაყოფი და განსაკუთრებით კი „კორდატას“ ჯიშის ტუნგოს ნაყოფი საუკეთესო ხარისხისაა.

აგიტატორის დასახმარებლად

მოსახლეობის აღწერათა მოკლე ისტორია

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა 1939 წლის 17 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

მთავრობის დადგენილება მოსახლეობის აღწერის შესახებ ავალებს ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციას, საბჭოთა სტატისტიკის ყველა მუშაკს, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების მთელ საბჭოთა აქტივს მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმის მომზადებას.

სოციალიზმი—ეს აღრიცხვაა, არაერთხელ მიგვითითებდა **ვ. ი. ლენინი.** წესიერად მოწყობილი აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის წარმოება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის აღრიცხვას, ვინაიდან საბჭოთა კავშირში ადამიანები წარმოადგენენ „ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს“ **(სტალინი).**

მოსახლეობის 1939 წლის აღწერა სანიმუშოდ უნდა იქნას ჩატარებული. მომავალი აღწერის დროს გამოტოვებული არ უნდა იყოს არცერთი კაცი, და თვითეულის შესახებ მიღებულ უნდა იქნას სავსებით ზუსტი ცნობები საააღწერო ფურცლის ყველა კითხვაზე. ეს ცნობები საჭიროა პარტიისა და მთავრობისათვის, რათა კიდევ უფრო წარმატებით დაგეგმონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობა, კიდევ უფრო უკეთ მოაწყონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა, კიდევ უფრო წარმატებით აწარმოონ მუშაობა მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

მოსახლეობის აღწერებს კაპიტალისტურ ქვეყნებში აქვთ უმთავრესად საგადასახადო და სამხედრო მიზნები, ისინი ემსახურებიან მშრომელთა გაძარცვის საშუალებათა გაუმჯობესებას, დამონებულ ხალხთა ჩაგვრას, ემსახურებიან მძარცველური ომების მომზადებისა და წარმოების მიზნებს, კაპიტალის ძალაუფლების განმტკიცებას.

ბურჟუაზიული სტატისტიკა არა ერიდება არავითარი საშუალებების წინაშე საააღწერო მასალების შეგროვების დროს, იყენებს მოსახლეობაზე პოლიციური ზეგავლენის ყველა მეთოდებს.

ბურჟუაზიული ქვეყნების სტატისტიკა თავიდან ბოლომდე სიცრუეს წარმოადგენს, გაყალბებულია კაპიტალიზმის საამებლად. ასე, მაგალითად, კაპიტალისტური მონობის სურათი რომ დაჰფაროს, ბურჟუაზიული სტატისტიკა ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელი მეპატრონეების“ ჯგუფში აქცევს კაპიტალის მაგნატებსაც, ხელოსნებსაც, წვრილ გლეხებსაც. უმუშევრობის ნამდვილი ოდენობა რომ დაჰფაროს, ბურჟუაზიულ სტატისტიკას მომუშავეთა რიცხვში შეაქვს ისინიც, ვისაც კვირაში ერთი-ორი დღის განმავლობაში აქვს სამუშაო. სამუშაოს მძებნელი ახალგაზრდობა, რომელიც თავისი დამოუკიდებელი არსებობის პირველივე დღეებიდან განწირულია გამუდმებით იაროს შრომის ბირჟებში, აღწერის დროს არ შეაქვთ უმუშევართა რიცხვში იმ საფუძველზე, რომ მას წინათ არასოდეს არ უმუშავნია.

მოსაქმეობის ნაცვლად ხშირად სწერენ **პროფესიას,** რომელიც, რა თქმა უნდა, არ იძლევა საარსებო სახსრებს, თუ ადამიანი არ მუშაობს.

აღწერათა მასალების ასეთი თაღლითური „დამუშავების“ შემდეგ, როგორც მიგვითითებდა ლენინი, „...გამოდის კაპიტალიზმში **კლასობრივ წინააღმდეგობათა მოდუნების** სურათი, რომელიც ძირეულად არასწორია, სავსებით ამახინჯებს საქმის ნამდვილ მდგომარეობას, მაგრამ რომელიც ძალიან მოსწონს ბურჟუაზიას“¹).

მოსახლეობა, რომელმაც მშვენივრად იცის ბურჟუაზიულ აღწერათა პოლიციურ-საგადასახადო და სამხედრო-პოლიტიკური მიზნები, ყოველნაირად ცდილობს თავი აარიდოს რეგისტრატორებისათვის სწორი პასუხების მიცემას. გერმანიაში 1933 წლის აღწერის დროს წინადადებას აძლევდნენ „განსაკუთრებით ძნელ უბნებში“ მიემართათ პოლიციელთა დახმარებისათვის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში აღწერათა ასეთი ორგანიზაციის დროს, მათში ამაოდ დავუწყებდით ძებნას სინამდვილის სწორ ასახვას. მანამდე, სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ლაპარაკიც კი არ შეიძლება ობიექტური სტატისტიკური მეცნიერების შესახებ, მოსახლეობის აღწერათა მასალების სრული სიმართლის შესახებ.

○

მეფის რუსეთში მოსახლეობის პირველი და ერთადერთი საყოველთაო აღწერა ჩატარებულ იქნა 1897 წელში 28 იანვრის მდგომარეობის მიხედვით. მანამდე მეფის ხელისუფლება სარგებლობდა ფრიად საეჭვო პოლიციური ცნობებით მოსახლეობის რიცხვის შესახებ და ცალკეულ ქალაქებში ნაწილობრივ აღწერათა მასალებით.

სიღატაკე და უკულტურობა, რომლებიც მეფის რუსეთში იყო გაბატონებული, შეეძლო ადვილად გამოემჟღავნებინა საყოველთაო აღწერას, და ეს იყო იმისი მთავარი მიზეზი, თუ ათეული წლების განმავლობაში რატომ აფერხებდნენ და არ ატარებდნენ მოსახლეობის აღწერას. მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო. დიდი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი, რომელიც მონაწილეობდა მოსახლეობის აღწერაში მოსკოვში 1882 წელს, თავის სტატიაში „აღწერის შესახებ მოსკოვში“ სწერდა: „...ჩვენ ალბათ გავიგებთ, რომ ჩვენს შორის... ცხოვრობენ ათიათასობით ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ პური, ტანსაცმელი და თავშესაფარი“.

„აღწერა ჩვენს თვალწინ, შეძლებული და ეგრეთწოდებული განათლებული ადამიანების თვალწინ, ცხადჰყოფს მთელ იმ სიღატაკესა და დაბეჩავებას, რაც მოსკოვის ყველა კუთხეშია დაფარული“.

რისის თქმა შეიძლებოდა დაჩაგრულ, ბნელ, წერა-კითხვის უცოდინარ სოფელზე, რომელიც გმინავდა მიწის გამოსასყიდი გადასახადთა ტვირთისაგან, მემამულეთა და კულაკთა კაბალისაგან.

1897 წლის აღწერა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა და მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული. ეს საქმე დავალებული ჰქონდათ გონებაშეზღუდულ და უნიჭო ჩინოვნიკებს შინაგან საქმეთა პოლიციური სამინისტროდან, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ სტატისტიკურ აღწერათა წესებზე და რომლებმაც პირველივე ნაბიჯებიდან არიეს საქმე.

აღწერის მიზნები აშკარად „კაზიონური“ იყო — საგადასახადო და სამხედრო. გასაკვირველი არ არის, რომ ამ წამოწყებას ხალხი უნდობლად და მტრულად შეხვდა.

თანამედროვეთა მოწმობით, ხალხში „მომავალ აღწერას ისე ხსნიდნენ, რომ მას მიზნად მიაწერდნენ ჯარისკაცებად ვარგისი პირების რიცხვის გამორკვევას მოახლოვებული ომისათვის“.

აღწერის მასალების დამუშავება რვა წელიწადნახევარს გრძელდებოდა, და მაინც არ დამთავრებულა. საააღწერო ფურცლების ბევრი კითხვა დაუმუშავებელი დარჩა.

მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა, ბურჟუაზიული სტატისტიკის ჩვეულებრივი ხერხების საშუალებით, ნაჩვენები იყო არასწორად, დამახინჯებულად. აღწერის მონაცემებით არ შეიძლებოდა იმის გამორკვევა, პირადად ამუშავებდა „მეურნე - მიწათმოქმედი“ მიწას თუ დაქირავებული, მუშა-ხელის გამოყენებით, კულაკი იყო ის, საშუალო თუ ღარიბი გლეხი. ისინი ყველანი ჩაწერილი იყვნენ, როგორც „მეურნე-მიწათმოქმედნი“.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, რომელიც აღწერის მასალებით სარგებლობდა თავისი შრომისათვის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, თვითონ მოუხდა აღწერის მონაცემების გადამუშავება. აი რა გამოარკვია ვლადიმერ ილიას-ძემ 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით.

მსხვილი ბურჟუაზია, მემამულეები, უმაღლესი მოხელეები და სხვ. რუსეთში 3 მილიონ კაცს შეადგენდნენ; შეძლებული მეურნენი—23,1 მილიონს; ულარიბესი წვრილი მეურნენი—35,8 მილიონს; პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები 63,7 მილიონს.

ამ უკანასკნელ ჯგუფში იყო არანაკლებ 22 მილიონი პროლეტარისა, მთელი მოსახლეობა კი 125,6 მილიონი იყო.

მეფის სტატისტიკოსების მიერ მასალების დამუშავების არასწორი და უხეირო ხერხების შედეგად გამოვიდა ისეთი შეუსაბამო მონაცემები, რომლების მიხედვით ყირგიზები კათოლიკური სარწმუნოებისა აღმოჩნდნენ; მოსკოვის გუბერნიაში უეცრად „გაჩნდნენ“ მომთაბარე ყალმუხები; ცოლიანთა შორის აღმოჩნდნენ ორი წლის ასაკის ბავშვები; მასწავლებელთა შორის — წერა-კითხვის უცოდინარნი; ჩვილი ყრმების ჯგუფში მოექცნენ ადმინისტრატიული და სასამართლოს უწყების მოხელენი და სხვ.

საინტერესოა შედარებისათვის მოვიყვანოთ 1897 წლის აღწერის ზოგიერთი მონაცემები. მეფის რუსეთში 79 ათასი მასწავლებელი იყო, ახლა კი სსრ კავშირში დაახლოვებით 950 ათასი მასწავლებელია. ექიმები იყო დაახლოვებით 17 ათასი, ამჟამად მათი რიცხვი 100 ათასს აღემატება. ინჟინრები იყო 4 ათასი, ამჟამად ჩვენ დაახლოვებით 600 ათასი ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი გვყავს.

ხუცები, ბერები და კულტის სხვა მსახურნი იყვნენ 295 ათასი — თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე მასწავლებლები. ექიმბაშები თითქმის იმდენივე იყო, რამდენიც ექიმები (13 ათასზე მეტი).

მოსკოვში ერთ მილიონ მცხოვრებზე ცოტა მეტი იყო, ახლა კი იქ დაახლოვებით 4 მილიონი კაცი ცხოვრობს.

მაშინ მოსკოვში 1.897 მასწავლებელი იყო, ამჟამად მათი რიცხვი 30 ათასს აღემატება; ექიმები იყო 1.380, ახლა მათი რიცხვი 15 ათასს აღემატება; ინჟინრები იყო 374, ამჟამად კი მათი რიცხვი 60 ათას აღემატება.

1897 წელს მოსკოვში იყო 7.638 ხუცესი, ბერი და სხვ., რომელთაგან უკვე 1926 წლისათვის 940 კაციღა დარჩა.

დამოუკიდებელ „მეურნეებად“ მოსკოვში აღრიცხული იყო საროსკიპოების 301 მეპატრონე (თითქმის იმდენივე, რაც ინჟინრები). ამ სამარცხვინო დაწესებულებათაგან ახლა კვალიც აღარ დარჩენილა.

მიუხედავად აღმაშფოთებელი ნაკლოვანებებისა მოსახლეობის პირველი აღწერის ორგანიზაციაში, მან მაინც მოახდინა თავისი დადებითი გავლენა, გამოავლინა ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის წინააღმდეგობანი, მოსახლეობის წარმოუდგენელი სიღარიბე და უკულტურობა, მუშათა კლასის ზრდა.

საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე შეუდგა ქვეყნის მოსახლეობისა და მეურნეობის აღწერის ორგანიზაციას.

მოსახლეობის პირველი საბჭოთა აღწერა **ვ. ი. ლენინის წინადადებით** ჩატარდა 1920 წ. 28 აგვისტოს. ამ აღწერასთან ერთად, სწარმოებდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო განათლების დაწესებულებების აღწერა. ეს აღწერა შეეხო საბჭოთა კავშირის ახლანდელი ტერიტორიის მხოლოდ 72 პროცენტს; ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში: ბელორუსიაში, უკრაინაში, ყირიმში, ამიერკავკასიაში, ნაწილობრივ თურქესტანსა და ყირგიზეთში, შორეულ აღმოსავლეთში, სამოქალაქო ომი სწარმოებდა. ვ. ი. ლენინი ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა აღწერას და ხელი შეუწყო მის წარმატებით დამთავრებას.

1920 წლის აღწერის მიხედვით, მოსკოვის გუბერნიაში, რომელიც ტერიტორიით დაახლოვებით უდრიდა ახლანდელი მოსკოვის ოლქის ტერიტორიას, აღმოჩნდა სულ დაახლოვებით 1,6 მილიონი მცხოვრები, ე. ი. დაახლოვებით 2½ ჯერ ნაკლები, ვიდრე ცხოვრობს ახლა. ომმა და ნგრევამ ჩამოაშორა მოსახლეობის მასა გუბერნიის სამრეწველო ქალაქებს.

ომმა კვალი დააჩნია მოსახლეობის შემადგენლობას სქესის მიხედვითაც: მამაკაცები ითვლებოდნენ 42 პროცენტი, ქალები კი—58 პროცენტი.

მოსკოვის გუბერნიის ყველაზე დიდი ქალაქები მოსახლეობის რიცხვით აღმოჩნდნენ: ორეხოვო-ზუევო, რომელშიაც 31,7 ათასი კაცი იყო, სერპუხოვი—28,2 ათასი, კოლომნა—20,9 ათასი, ბოგოროდსკი (ამჟამად ნოგინსკი)—15,7 ათასი, სერგიევსკი პოსადი (ახლა ზაგორსკი)—13,4 ათასი და პოდოლსკი—12,2 ათასი კაცი.

თვითეული ამ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა ამჟამად 3-5 ჯერ გაიზარდა.

მოსახლეობის 1920 წლის აღწერამ მოგვცა მდიდარი მასალა იმ მუშაობის დაგეგმვისათვის, რომელიც მიმართული იყო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დარღვეული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისაკენ.

1923 წელს, 15 მარტისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, მოხდა ჩვენი ქვეყნის ქალაქების მოსახლეობის აღწერა. მოსკოვის მოსახლეობა ამ დროისათვის 50 პროცენტით გადიდდა 1920 წელთან შედარებით და შეადგენდა მილიონნახევარ კაცზე მეტს. მოსკოვის გუბერნიის ქალაქებში მოსახლეობა ამ ხნის განმავლობაში თითქმის 32 პროცენტით გაიზარდა.

1926 წლის დამლევს ჩატარდა ახალი სრულიად-საკავშირო აღწერა 1926 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით. აღწერის შედეგებს უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიური და კულტურული მშენებლობისათვის, პირველი სტალინური ხუთწლედის გეგმის შედგენისათვის.

○

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა ხალხის განსახლების ხასიათი, მისი სოციალური და პროფესიული შემადგენლობა, მისი კულტურის დონე. 1926 წლის მონაცემები, ცხადია, მოძველებული აღმოჩნდა. საჭირო იყო მოსახლეობის ახალი აღწერა. ის დაინიშნა 1937 წლის 6 იანვრისათვის. საბჭოთა ხალხი ძალიან სერიოზულად მოეკიდა ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ღონისძიებას. მაგრამ ეს საქმე ჩაშალეს ხალხის საზიზღარმა მტრებმა — ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელმა აგენტებმა, რომლებიც იმ დროს სახალხო-სამეურნეო აღწერის ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელობაში შეიპარნენ. აღწერის ჩატარებისას ხალხის მტრებმა დაარღვიეს მთავრობის ინსტრუქციები და სტატისტიკური მეცნიერების ელემენტარული საფუძვლები. მთავრობამ აღწერის ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად სცნო და თვით მისი მასალები დეფექტიანად (წუნდებულად).

სახელოვანმა საბჭოთა დაზვერვამ, სტალინელი სახკომის ამხანაგ ნ. ი. ეჟოვის მეთაურობით, გაანადგურა საბჭოთა სტატისტიკის აპარატში შეპარული გამცემლების ბუდე. 1939 წლის აღწერის ჩატარებისას უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფხიზლე, აღმოვფხვრათ მტრული გამოსვლების ყოველგვარი შესაძლებლობა, ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებისათვის ხელის შეშლის ცდების ყოველგვარი შესაძლებლობა.

„ბლოკნოტ აგიტატორა“.

---

¹) ლენინი. ტ. XVII, გვ. 619. გამოც. მე-3.

პარტიული ცხოვრება

„რაიკომის საქმეა, თვითონ მოუვლის"

სამტრედიის ჩაის მექანიკური ქარხნის პარტორგანიზაციაში (პარტორგი ი. ლეჟავა) მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე მხოლოდ სამი კაცი მიიღეს პარტიაში, მაშინ როდესაც ქარხანაში 150 კაცი მუშაობს. ამათგან ბევრია სტახანოველი და დამკვრელი. პარტორგანიზაცია არავითარ აღმზრდელობით მუშაობას არ აწარმოებს უპარტიო ამხანაგებთან. პარტორგი ლეჟავა იმით იმართლებს თავს, რომ „კომუნისტები ხშირად რაიონებში დადიან მივლინებებში". პარტიული კრებები აღნიშნულ პარტორგანიზაციაში თვეში ორჯერ თუ იწვევა, და მაშინაც 3-4 კომუნისტზე მეტი არ ესწრება.

თანამგრძნობთა რიგებში წელს მხოლოდ ოთხი კაცი მიიღეს, რომელთაგან მხოლოდ ვლ. შენგელია იქნა მიღებული საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის წინასწარ გაცნობა 25 სექტემბრიდან დაიწყეს. პროპაგანდისტი (იგივე პარტორგი) ლეჟავა ატარებს ისტორიის ცალკე თავების ხმამაღლა კითხვას. წრეების დაკომპლექტებაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. რაიკომის საქმეა და თვითონ მოუვლისო — აცხადებს პარტორგი.

ქარხანაში არის ინტელიგენცია, რომელსაც გულით უნდა მოემზადოს პარტიის ისტორიის შესწავლისათვის, მაგრამ....

ვფიქრობთ, სამტრედიის პარტრაიკომი მიიღებს სათანადო ზომებს აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აქ. დგვეფაძე

გამოაცოცხლეს მუშაობა პარტიის რეზერვთან

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოსთან არსებულ პირველადს პარტორგანიზაციაში ამ შვიდი თვის წინათ სრულიად მივიწყებული იყო პარტიაში მიღების საქმე და პარტიის რეზერვთან მუშაობა.

პარტიაში მიღების განახლების დღიდან მიმდინარე წლის მარტამდე პარტიაში არცერთი კაცი არ იყო მიღებული. თანამგრძნობთა რიგებში მიღებული იყო ორი კაცი, მაგრამ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა მათთანაც არ სწარმოებდა.

ახალმა პარტიულმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიული მუშაობის ამ ჩამორჩენილ უბანს. პარტიის წევრად გადარიცხულია 6 კანდიდატი. პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია — 9, თანამგრძნობთა რიგებში კი — 5.

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს პარტორგანიზაციის თანამგრძნობთა რიგებს შეემატნენ კურორტის სახელოვანი ადამიანები — ავეჯეულობის ფაბრიკის და მესაქონლეობის ფერმის სტახანოველები და სანატორიუმის ექიმთა თანაშემწეები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა პარტიაში ახალმიღებულებთან და თანამგრძნობებთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიის წევრობის კანდიდატებზე და თანამგრძნობებზე მიმაგრებული არიან პოლიტიკურად მომზადებული კომუნისტები. მაგრამ ზოგიერთი მიმაგრებული ამხანაგი ჯერ კიდევ სუსტად ეხმარება თანამგრძნობებს (ჩანტლაძე, პაპიძე, სირაძე, ამბრიანი და სხვ.). საჭიროა მიმაგრებულმა კომუნისტებმა უფრო მეტი დახმარება აღმოუჩინონ თანამგრძნობებს, რათა მოამზადონ ისინი პარტიის რიგებში მისაღებად.

ა. მამარდაშვილი

საქ. ალკკ-ის 20 წლისთავისათვის

სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი საქ. ალკკ-ის 20 წლისთავისათვის გამოსცემს ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა ნაშრომების კრებულს.

კრებულში შევა ფიზიკურ-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ფილოლოგიურ მეცნიერებათა და ისტორიის დარგის 20 ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომი. ავტორთა უმეტესობა კომკავშირელებია.

კრებული გამოვა 28-30 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით პროფესორ ნ. ი. მუსხელიშვილის, ი. ა. ჯავახიშვილისა და ვ. დ. კუპრაძის რედაქციით.

კრებულის ტირაჟი იქნება 1.000 ცალი. (საქდესი).

რას ფიქრობენ ქედისა და ბათუმის რაიკომები?

ქედისა და ბათუმის (აჭარა) პარტრაიკომები სუსტად ხელმძღვანელობენ პარტისტორიის მოკლე კურსის, ლენინ-სტალინის ეპოქის ამ უდიდესი მეცნიერული ნაშრომის შესწავლის საქმეს.

მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის არა ერთი მითითებისა ბათუმისა და ქედის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მზადება მაინც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დირექტივები პროპაგანდისტების მომზადების შესახებ არც ბათუმის და არც ქედის რაიკომს დღემდე არ შეუსრულებიათ.

აღნიშნულ რაიონებში ყველა ტიპის პოლიტსკოლის პროპაგანდისტები გაერთიანებული არიან რაიაქტივის თვითგანვითარების ჯგუფთან. რაიაქტივის თვითგანვითარების ჯგუფები დაკომპლექტებულია არა ცოდნის, არამედ მსმენელთა თანამდებობების მიხედვით. მათი მეცადინეობა კი თვეში 3-ჯერ უნდა მოხდეს. როგორც ქედის, ისე ბათუმის რაიაქტივის თვითგანვითარების ჯგუფებში 10 ოქტომბრამდე პარტისტორიის მოკლე კურსიდან დამუშავებული ჰქონდათ მხოლოდ პირველი თავი.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომის მდივანი თვითონ გაურბის პროპაგანდისტულ მუშაობას. ასე, მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მესამე მდივანი ამხ. მელაძე და ქედის რაიკომის მესამე მდივანი ამხ. ყაჭეიშვილი ერთ დროს ხელმძღვანელობდნენ პროპსემინარს, მაგრამ რაიაქტივის თვითგანვითარების ჯგუფთან პროპსემინარების შეერთების შემდეგ ისინი პროპაგანდისტულ მუშაობას ჩამოშორდნენ.

გასაგებია, რომ არც რაიონების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებშია კარგი მდგომარეობა. არასწორად არიან დაკომპლექტებული პარტგანათლების სკოლები. აწჰესის პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ სკოლაში ირიცხებიან მცირე მცოდნეები: აკაკი ბუკია, აკაკი გოგიტიძე; ქედის რაიაღმასკომის პარტისტორიის შემსწავლელ სკოლაში კი — ცინცაძე, მარო შოშკიაშვილი და სხვები.

ქედისა და ბათუმის რაიონებში პარტისტორიის მოკლე კურსის კითხვას ატარებენ რაიკომის მიერ შეუმოწმებელი აგიტატორები. რაიონებში არ სწარმოებს მშრომელთა, მოსწავლეთა და ინტელიგენციისათვის პარტისტორიის მოკლე კურსის გაცნობა.

ბათუმის რაიგაზეთი „კოლმეურნის გზით" და ქედის გაზეთი „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის" სდუმან, მათ არ დაურღვევიათ თავიანთი რაიკომების მყუდროება.

აღნიშნულმა გაზეთებმა ამჯობინეს გვერდი აევლოთ პარტისტორიის მოკლე კურსის შესწავლის პროპაგანდის საკითხებისათვის და ასეც მოიქცნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გაზეთებს ამ უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში მიცემული აქვთ პარტიულ განათლების საკითხებზე სულ ორი-სამი მასალა და ისიც უფერული და საერთო ხასიათისა.

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა უნდა მიიღოს ენერგიული ზომები (საქდესი).

ჩახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თბილისის რაიონი) პარტკომის მდივანი ამხ. კვანტალიანი (მარცხნიდან მეორე) კონსულტაციას უწევს პროპაგანდისტებს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლის საკითხებზე.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

1917 წლის ოქტომბრის დოკუმენტები

ბოლშევიკების პარტიის ც. კ-ის 23 (10) ოქტომბრის სხდომა

დადგა 1917 წლის ოქტომბრის სუსხიანი დღეები...

შემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობა აგრძელებდა „ომს გამარჯვებამდე". ისედაც გაძვალტყავებულ ქვეყანას ღრღნიდა და ანადგურებდა ომის ხარჯები. სოფელში შიმშილი და სიღატაკე გამეფდა. ქალაქად გაჩერდნენ საწარმოები, აღარ იშოვებოდა პროდუქტები, სამრეწველო საქონელი. ფულის კურსი დღითიდღე ეცემოდა, მასებში უკმაყოფილება უმაღლეს წერტილს აღწევდა.

რევოლუციური მოძრაობის აზვირთებული ტალღები დროებითი მთავრობას აშკარა წალეკვით ემუქრებოდნენ, — ბოლშევიკურ პარტიის გავლენა კი თანდათანობით მტკიცდებოდა.

ბურჟუაზია უკანასკნელ ძალებს იკრებდა იმისათვის, რომ ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა, გაენადგურებინა ბოლშევიკური ორგანიზაციები.

ბოლშევიკები **ლენინ-სტალინის** მეთაურობით უმტკიცებდნენ მასებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება უხვად იყოს — პურიც, ნავთიც, რკინაც, ნახშირიც, აუცილებელია მხოლოდ დაემხოს შემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება.

საქმის ვითარება თავისთავად ცხადჰყოფდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა მოახლოვებული იყო. ლენინი სწერდა: „ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დატოვება, თუნდაც მცირე რაოდენობით, დატოვება ისეთი აშკარა კორნილოველებისა, როგორიც არიან გენერლები ალექსეევი, კლემბოვსკი, ბაგრატიონი, გაგარინი და სხვ., ან ისეთებისა, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი სრული უძლურება ბურჟუაზიის წინაშე და თავისი უნარი ბონაპარტისტულად მოქმედებისა, როგორიც არის კერენსკი, — ეს ნიშნავს ფართოდ გავუღოთ კარი, ერთის მხრით, შიმშილს და გარდუვალ სამეურნეო კატასტროფას, რომელსაც კაპიტალისტები განზრახ აჩქარებენ და ამწვავებენ, და მეორე მხრით, სამხედრო კატასტროფას...

წინასაოქტომბრო გამოსვლებში ლენინი და სტალინი, უკეთებდნენ რა მარქსისტულ ანალიზს საშინაო და საგარეო მდგომარეობას, მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გადასვლას აჯანყებაზე, დროებითი მთავრობის დამხობას და ძალაუფლების ხელში აღებას. **„დაყოვნება სიკვდილს უდრისო"** — სწერდა ლენინი.

1917 წლის 23 (10) ოქტომბერს შესდგა ბოლშევიკების პარტიის ც. კ.-ის სხდომა, რომელზედაც გადასწყდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხი. ამ სხდომაზე მიღებულ იქნა ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია შემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობის შესახებ.

შემდეგ სხდომაზე 29 (16) ოქტომბერს შემუშავდა შეიარაღებული აჯანყების გეგმა. ამ სხდომაზე გამოიყო აჯანყებისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად პარტიული ცენტრი ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

ც. კ-ის ამ სხდომაზე ზინოვიევი და კამენევი კვლავ გამოდიან შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ. კიდევ მეტი — მათ გასცეს აჯანყების გეგმა. ლენინმა დააყენა საკითხი პარტიის რიგებიდან ზინოვიევის და კამენევის გარიცხვის შესახებ.

ტროცკი თვალთმაქცურად იქცეოდა, ვითომდა ხმას აძლევდა პარტიის გადაწყვეტილებას აჯანყების მოწყობის შესახებ, მაგრამ მოითხოვდა ისეთ შესწორებათა შეტანას, რომელნიც აშკარად დაღუპავდნენ საქმეს. „მან წამოაყენა წინადადება არ დაწყებულიყო აჯანყება საბჭოების მე-2 ყრილობის გახსნამდე, რაც მოასწავებდა აჯანყების საქმის გაჭიანურებას, აჯანყების დღის წინასწარ გამჟღავნებას, ამის შესახებ დროებითი მთავრობის გაფრთხილებას". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

რამდენიმე დღის შემდეგ ტროცკიმ პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე გამოამჟღავნა აჯანყების დაწყების დღე. იმისათვის რომ კერენსკის მთავრობას საშუალება არ მისცემოდა ჩაეშალა აჯანყება, ც. კ-მა მიიღო დადგენილება აჯანყება მოეწყო დანიშნული დღეზე ადრე, საბჭოების მეორე ყრილობის გახსნამდე... ერთი დღით ადრე.

დაყოვნება შეუძლებელი იყო, პროლეტარული რევოლუციის გენიალური ორგანიზატორები ლენინი და სტალინი გამოდიოდნენ რა მარქსიზმის მოძღვრებიდან აჯანყების შესახებ, იმუშავებდნენ ტაქტიკას და სტრატეგიას პროლეტარიატის დიქტატურის გასამარჯვებლად.

ბოლშევიკების პარტიის ც. კ-ის 23 (10) ოქტომბერს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა მასების დასარაზმავად ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყებისთვის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ლენინის სიტყვების ჩანაწერებს ბოლშევიკების პარტიის ც. კ-ის 23 (10) ოქტომბრის სხდომის ოქმში და ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას, რომელიც მიღებული იქნა ამავე სხდომაზე.

ოქმში ჩანაწერი

1. მოხსენება

ლენინი აღნიშნავს, რომ სექტემბრის დამდეგიდან შემჩნეულია რაღაც გულგრილობა აჯანყების საკითხისადმი. ეს კი დაუშვებელია, თუ ჩვენ სერიოზულად ვაყენებთ საბჭოების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საკითხს. ამიტომ უკვე დიდიხანია საჭიროა ყურადღება მიექცეს საკითხის ტექნიკურ მხარეს. ახლა კი, როგორც სჩანს, დრო საგრძნობლად დაკარგულია.

მიუხედავად ამისა, საკითხი მეტად მწვავედ სდგას და გადამწყვეტი მომენტი მოახლოვებულია.

საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ინიციატივა ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს.

ის, რასაც აპირებენ ნარვამდე დანებებით და პიტერამდე დანებებით, კიდევ უფრო გვაიძულებს მივმართოთ გადამწყვეტ მოქმედებას.

პოლიტიკური მდგომარეობაც დაბეჯითებით მოქმედებს ამ მიმართულებით. 3 - 5 ივლისს ჩვენის მხრით გადამწყვეტი მოქმედება იმაზე დაიმსხვრეოდა, რომ ჩვენ უმრავლესობა არ გვეყოლებოდა. მას შემდეგ ჩვენი აღმავლობა გიგანტური ნაბიჯებით მიდის.

მასების აბსენტეიზმი და გულგრილობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ მასები მოიქანცნენ სიტყვებისა და რეზოლუციებისაგან.

უმრავლესობა ახლა ჩვენსკენაა. პოლიტიკურად საქმე სავსებით მომწიფდა ძალაუფლების გადმოსვლისათვის.

აგრარული მოძრაობაც ამ მიმართულებით მიდის, ვინაიდან ცხადია, გმირული ძალებია საჭირო, ეს მოძრაობა რომ ჩაახშო. ლოზუნგი მთელი მიწის გადასვლისა გლეხების საერთო ლოზუნგი გახდა. პოლიტიკური ვითარება ამგვარად მზად არის. საჭიროა ვილაპარაკოთ ტექნიკურ მხარეზე. მთელი საქმე ამაშია, ჩვენ კი ობორონცების კვალდაკვალ განწყობილი ვართ აჯანყების სისტემატური მომზადება ჩავთვალოთ პოლიტიკური ცოდნის მსგავს რამედ.

ლოდინი დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც აშკარაა ჩვენთან არ იქნება, უაზრობაა, ვინაიდან ეს ნიშნავს ჩვენი ამოცანის გართულებას.

საოლქო ყრილობა და წინადადება მინსკიდან უნდა გამოვიყენოთ გადამწყვეტი მოქმედების დასაწყებად.

რეზოლუცია

„ც. კ. აღიარებს, რომ როგორც რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობა (აჯანყება გერმანიის ფლოტში, როგორც მთელს ევროპაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდის უკიდურესი გამოხატულება, შემდეგ მსოფლიო იმპერიალისტების მიერ ზავის ჩამოგდების მუქარა რუსეთის რევოლუციის ჩახრჩობის მიზნით), ისე სამხედრო მდგომარეობა (რუსეთის ბურჟუაზიისა და კერენსკის კომპანიითურთ უეჭველი გადაწყვეტილება გერმანელებისათვის პიტერის ჩაბარების შესახებ), აგრეთვე პროლეტარული პარტიის მიერ საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება, — ყოველივე ეს გლეხთა აჯანყებასთან და ხალხის ნდობის ჩვენი პარტიისაკენ შემოტრიალებასთან დაკავშირებით (არჩევნები მოსკოვში), ბოლოს, მეორე კორნილოვშჩინის აშკარა მომზადება (პიტერიდან ჯარების გაყვანა, პიტერისკენ ყაზახების გამოგზავნა, მინსკის გარშემორტყმა ყაზახებით და სხვ.), — ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას.

აღიარებს რა ამგვარად, რომ შეიარაღებული აჯანყება აუცილებელია და სავსებით მომწიფებულია, ც. კ. წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადასწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხები (ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობის, პიტერიდან ჯარის გაყვანის, მოსკოველებისა და მინსკელების გამოსვლებისა და სხვ.)" **(ლენინი, ტ. XXI, გვ. 330).**

ბეს. ჟღენტი

დიდი ქართველი ლირიკოსი

1845 წლის 9 (21) ოქტომბერს განჯაში, სრულს სიმარტოვეში, წვრილი მოხელის დამამცირებელ მდგომარეობაში გარდაიცვალა ქართული ლირიკული პოეზიის ნამდვილი მშვენება და სიამაყე — ნიკოლოზ ბარათაშვილი. როგორც პოეტის მთელი ცხოვრება და შემოქმედება, ისე მისი ეს ნაადრევი და განწირული სიკვდილიც მკაფიოდ გამოხატავდა სიდუხჭირეს, სიბნელესა და სიღატაკეს იმ ეპოქისა, რომელიც ასე უწყალოდ და უზრუნველად ანადგურებდა ხალხის საუკეთესო შვილებს, ხალხის შემოქმედებითი გენიის საუკეთესო გამომხატველებს.

იმდროინდელ საქართველოში არისტოკრატიული ინტელიგენციის მხოლოდ ვიწრო მოწინავე ფენამ განიცადა მთელი სიმწვავით ნ. ბარათაშვილის დაღუპვა, მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცისათვის იყო მაშინ გასაგები, რომ მისი სახით საფლავში ჩავიდა თავისი ეპოქის უდიდესი ადამიანი, რომ „საქართველომ დაჰკარგა ადამიანი, რომელსაც უყვარდა იგი მთელი თავისი პოეტური სულისკვეთებით და რომელიც ამ სიყვარულს თავის ყოველგვარ მოვალეობაზე მაღლა აყენებდა".

იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი არცერთი სტრიქონი ბარათაშვილის შედევრებისა, ჯერ კიდევ ხალხის გულსა და შეგნებამდე არ იყო მისული ქართველი ხალხის პოეტური პოტენციის ეს ბრწყინვალე გამოვლინება.

მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ახალმა ვითარებამ გამოაფხიზლა და ამოძრავა საზოგადოებრივი ცხოვრება, როცა ჩვენი დიდი მესამოციანეების ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგად მხატვრულმა ლიტერატურამ გზა გაიკაფა ხალხის უფრო ფართო ფენებისაკენ, ბარათაშვილის პოეზიამ დიდი ინტერესი და ყურადღება მოიპოვა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა მწერლობამ ბარათაშვილში თავისი უშუალო და უახლოესი წინამორბედი დაინახა. და მართლაც, ბარათაშვილის პოეზია შეიცავდა სოციალური პროტესტის, მგზნებარე პატრიოტიზმის, სულიერი რაინდობისა და თავდადების, საქართველოს გმირული წარსულისადმი სიყვარულის იმ იდეებს, რომლებითაც შთაგონებულია გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა. მხოლოდ, რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი რომანტიულ ასპექტში უმღეროდა და განასახიერებდა თავისი დროისათვის ამ ღრმად პროგრესიულ იდეებს, რომლებმაც ქართული კრიტიკული რეალიზმის კორიფეების შემოქმედებაში მეტი საბრძოლო სიმახვილე, სიცხადე და გარკვეულობა მოიპოვეს.

ეპოქა, რომელშიაც აღმოცენდა და გაიშალა ნ. ბარათაშვილის პოეტური გენია, ქართველი ხალხის ისტორიის ერთერთი უკიდურესად მკაცრი და ბნელი ეპოქა იყო. ეს ის დრო იყო, როცა ცარიზმმა სისხლში ჩაახრჩო ქართველ გლეხთა მთელი რიგი მასობრივი აჯანყებანი, როცა აღმოჩენილ და განადგურებულ იქნა 1832 წლის ცნობილი შეთქმულება, ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის საუკეთესო მოწინავე ძალებმა მკაცრი რეპრესიები განიცადეს, გაცამტვერდნენ ცარიზმის ბრჭყალებისაგან თავდაღწევის იმედები და ფართოდ გაიდგა ფესვი უიმედობისა და გულგატეხილობის განწყობილებებმა. გაბატონებული წოდება დაადგა თვითმპყრობელობის პოლიტიკასთან შეგუების გზას, ჩინ-მედლებითა და ბიუროკრატიულ კარიერით მოხიბლულმა მან მალე მონახა საერთო ენა ცარიზმის სატრაპებთან მშრომელი ხალხის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის საქმეში და, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიდა თავისი ქვეყნის თავისუფლებას".

მშრომელ ხალხს, ხანგრძლივი ბრძოლებით და შფოთით სისხლისაგან დაცლილს, მეფის დამსჯელი ექსპედიციებით დარბეულსა და აწიოკებულს, წართმეული ჰქონდა ყველა შესაძლებლობა თავისი პროტესტისა და გულისწყრომის მძლავრად გამოხატვისა.

ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნება, მამოძრავებელი, სასიცოცხლო ძალების შეფერხება. ილია ჭავჭავაძე ამ ეპოქას ახასიათებს, როგორც „სრული უკაცურობის" ხანას, როცა „ისიც კი დავივიწყეთ — ვინა ვართ და რანი ვართ. ამ გარემოებამ ხომ სრულიად გაგვიუქმა ჭკუა-გონება, ამოგვიშრო ტვინი... სულსა და გულს აღარ ქონდა მიზეზი ფრთა გაეშალა და რა თქმა უნდა მოაზრე ცხოვრება ველარ დაიძროდა ადგილიდან და შედგა, თითქო ერთს ადგილს შეიკრა და გაიყინაო". თვით ნიკოლოზ ბარათაშვილიც დაახლოვებით ამგვარათვე ახასიათებს თავის საზოგადოებრივ გარემოცვას მის კერძო მიმოწერაში.

ცხადია, ბარათაშვილის პოეზიის გასაგებად აუცილებელია მისი პირადი დაუკმაყოფილებელი და გატანჯული ცხოვრების გათვალისწინებაც, იმ სულიერი დაცემულობის გათვალისწინებაც, რომელიც ეუფლებოდა პოეტის წარმომშობ წოდებას, უკვე დეგრადაციის გზაზე დაქანებულ ქართველ თავადაზნაურობას, მაგრამ პოეტის „განწირული სულისკვეთების" ძირითადი მასაზრდოებელი ფესვები ამ ეპოქის საერთო ვითარებაში, მთელს სოციალურ გარემოცვაში უნდა ვეძიოთ.

ამ ბნელმა და სუსხიანმა ეპოქამ წარმოშვა ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე პლეადა და ამ პლეადის უმაღლესი მწვერვალი — ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამაში არაფერია გასაკვირი და შეუძლებელი. ქ. მარქსი გვასწავლის: „ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი აყვავების გარკვეული პერიოდები არავითარ შეფარდებაში არ იმყოფებიან საზოგადოების საერთო განვითარებასთან". ფ. ენგელსი გიოტესა და შილერის წარმომშობი ეპოქის შესახებ ამბობს: „ეს სამარცხვინო პოლიტიკური და სოციალური ეპოქა ამავე დროს იყო გერმანული ლიტერატურის დიადი ეპოქა". ასე მოხდა საქართველოშიც. წყვდიადით მოცულმა სოციალურმა ეპოქამ წარმოშვა თავისი უარმყოფელი, სინათლისა და განახლების სწრაფვით გამსჭვალული პოეზიის მთელი მიმდინარეობა, რომლის ზენიტსაც ნიკოლოზ ბარათაშვილი წარმოადგენს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგად გრძნობდა, რომ იგი ვერ მოემწყვდეოდა თავისი დაძაბუნებული გარემოცვის ჩარჩოებში: „მე შინაგანი ხმა მიმიწევს საკუთარი ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო, ნუ გძინავსო", ამ სიტყვებში მოცემული გასაღები პოეტის მძაფრი კონფლიქტისა თავის საზოგადოებრივ გარემოცვასთან, იმ კონფლიქტისა, რომლის ანარეკლსაც წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის მთელი პოეზია.

ნ. ბარათაშვილი ქართველი რომანტიკოსების თაობას ეკუთვნის, მაგრამ მას ბევრი რამ განასხვავებს თავისი თანამედროვე პოეტებისაგან. მან პირველმა მე-19 საუკუნის ქართულს მწერლობაში თავი დააღწია აღმოსავლური ლირიკის ტრადიციებს, სავსებით დაშორდა „მუხამბაზის კილოს" და აშუღურ ჰანგებს. მთელი თავისი შემოქმედებით დაუკავშირდა და გამოეხმაურა ევროპისა და რუსეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში გაშლილი იდეური მოძრაობის განვითარებას. მან ყველაზე ღრმად დანერგა ქართულ პოეზიაში რომანტიზმის „ცისფერი ყვავილი" და მთელი არსებით უმღერა:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს".

მან პოეტური შემოქმედების ცენტრი სულიერი ცხოვრების სფეროში გადაიტანა სავსებით

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს,
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა".

ნ. ბარათაშვილის პოეზია ღრმა გამოხატულებაა თავისი ბნელი და სუსხიანი გარემოცვისადმი შეურიგებლობისა და წინააღმდეგობის გრძნობით აღგზნებული სულის მღელვარებისა. მისი პოეტური შედევრების ყოველი სტრიქონი ამ ნიადაგზე წარმოშობილი მძაფრი სულიერი დრამის, მწვავე ტკივილის, უსაზღვრო სევდის გამოხატულებაა. იგი თანამედროვეობასთან ვერ პოულობს ნათესაურ კავშირს და მწვავე სულიერ სიმარტოვეს, ობლობას განიცდის:

„ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა".

მისი აღშფოთებული აზრი და გრძნობა ვერ პოულობს სიმშვიდესა და თავშესაფარს რეალურ სამყაროში. მყუდროებისა და დამშვიდების ძიების უშედეგობა შესანიშნავად გამოხატა პოეტმა ლექსში „ვპოვე ტაძარი":

„ვერსად ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი,
ვერსად აღვანთე დაშთობილი მისი ლამპარი,
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
და დავალ ობლად ისევ მწირი, მიუსაფარი".

მთელი ცხოვრება „აუვსებელ საწყაულად" ესახება პოეტს. იგი უჩივის ცხოვრების ამაოებას და სიცარიელეს, მაგრამ მისი პოეზიის სიდიადე იმაშია, რომ იგი არ განისაზღვრება ამ ამაოებაზე ოხვრით. ბარათაშვილის გენია — დაუცხრომელი და ქედმოუხრელი უარყოფაა არსებულისა და დაუდეგარი ძიება, თუმცა გაურკვეველის, მაგრამ მაინც სხვაგვარი, ნათელი და ახალი სამყაროსი. პოეტი მიმართავს ზეცას:

„მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდება საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენსა... იქით ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს.. რომ დაშთოს აქ ამაოება".

ამ ამაოებისაგან თავდაღწევისა და სხვაგვარი სამყაროსაკენ სწრაფვის უმაღლეს გამოხატულებას „მერანი" შეიცავს. ეს ლექსი თავისი აზრობრივი სიღრმით და ექსპრესიით — მსოფლიო ლირიკული პოეზიის ერთერთ უჭკნობ შედევრს წარმოადგენს.

პოეტი დაუცხრომლად მიაჭროლებს თავისი პოეზიის მერანს „ბედის საზღვარის" მიღმა და მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს, მხოლოდ მონად არ დარჩეს:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის საზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი".

ეს სტრიქონები თავისუფლების იდეისა და სულიერი რაინდობის უმაღლეს პოეტურ გამოვლინებას შეიცავენ. პოეტი ისწრაფვის გაარღვიოს წყვდიადის რკალი, შთაგონებულად ეძიებს და მოუხმობს ნათელს:

„მოციმციმდი, მოდი გამომედარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაპერწკალნი ეშხისა მომაყარე".

მიმართავს, პოეტი თავის ვარსკვლავს.

პოეტს თვით უნდა იყოს მნათობი, რომ ბნელი გაჰფანტოს, რომ ქვეყანა წყვდიადის რკალიდან გამოიყვანოს:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემს დღეთა გარსა მოვავლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო,
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი".

ნ. ბარათაშვილი, როგორც ყოველი დიდი რომანტიკოსი, ხშირად მიმართავს ბუნების წიაღს „ჭირთ გასართველად". ბუნება მის შემოქმედებაში საოცარი ძალით არის გაცოცხლებული და დაკავშირებული ადამიანის სულიერ სამყაროსთან:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის",

გვეუბნება პოეტი და მსოფლიო პოეზიაში ბევრი როდია ისეთი ქმნილებანი, რომლებიც ბარათაშვილისებურის ძალით და სიცხოველით გადმოგვცემდნენ „უასაკოთა და უსულოთ" ენას. ამ მხრივ ბარათაშვილი პირდაპირი წინაპარია ვაჟა - ფშაველასი.

ნ. ბარათაშვილს აქვს ბუნების ღრმად ლირიკული განცდა, მაგრამ ბუნების იდილიაში გადასულ პოეტს არასოდეს არ სტოვებს „სული ბოროტი", იგი არ სწყვეტს კავშირს თავისი დროის, თავისი ხალხის ვითარების ნიადაგზე აღმოცენებულ მღელვარე საკითხებთან და ამიტომაც მისი „ფიქრნი მტკვრის პირას" დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით გამსჭვალული სტრიქონებით მთავრდება:

„მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

ასეთსავე მოვლენას ვხედავთ „მერანშიც". აქ ერთის შეხედვით პოეტი მთლიანად გადადის უსაზღვროებასა და ბუნების სტიქიაში, მაგრამ მთელი ეს დაუდეგარი ქროლვა თავისი მერანისა გამოწვეულია პოეტის ღრმად მოქალაქეობრივი სწრაფვით: გასთელოს უვალი გზა, რათა მოძმეთა მისთა „სიძნელე გზისა გაუადვილდეს".

სრულიად განსხვავებულ მოვლენას წარმოადგენს ბარათაშვილის შემოქმედებაში პოემა „ბედი ქართლისა". ეს ნაწარმოები არის სათავე იმ ისტორიული პოემებისა, რომლებიც ასე დამახასიათებელი იყვნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიისათვის. „ბედი ქართლისა" ღრმა პატრიოტული გრძნობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეით შთაგონებული ქმნილებაა, სადაც „გალიაში დატყვევებული ბულბულის" მეტაფორით პოეტმა თავისი დამონებული სამშობლოს ბედი გამოხატა. ამ პოემის დიდი იდეური ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მასში გარკვეულად გამოსჭვივის რესპუბლიკური იდეების აპოლოგია. აქაც პოეტი თავისი ეპოქის დიდ პროგრესისტად, მოწინავე აზრის ადამიანად გვევლინება. ხსენებულ პოემაში ნ. ბარათაშვილმა უმღერა ქართველი ხალხის გმირობასა და თავდადებას სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეში.

ბუნებრივია, რომ ამგვარი იდეებით შთაგონებული პოეზია ბარათაშვილისა ვერ მოთავსდებოდა პოეტური მეტყველების იმ ფორმებში, რომლებიც დამკვიდრებულნი იყვნენ მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოში, მისმა ბრძნულმა, დიდი ფილოსოფიური სიღრმისა და ზოგადკაცობრიული იდეური დიაპაზონის ლექსმა განსხვავებული პოეტური ფორმაც მოითხოვა და ბარათაშვილის შემოქმედებაში ეს ფორმა აღმოცენდა და ჩამოყალიბდა უდიდესი ორგანიულობით.

ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა უკვდავია პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მასში ღრმა პოეტური გამოსახულება ჰპოვეს იმ დროისათვის უაღრესად პროგრესიულმა იდეებმა და მისწრაფებებმა. თავისი ხალხის სოციალური ვითარების ნიადაგზე აღმოცენებული მებრძოლი მისწრაფებანი ბარათაშვილმა აიყვანა ზოგადსაკაცობრიო იდეალების სიმაღლემდე და თავისი შემოქმედებით გამოეხმაურა მსოფლიო რომანტიული პოეზიის უდიდეს ფიგურებს: ბაირონს, პუშკინს, ლერმონტოვს, ნოვალისს, შელლის, მიცკევიჩს და სხვ.

ნ. ბარათაშვილმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული პოეზიის შემდგომ განვითარებაზე. მისი პოეზიის რეზონანსი და გავლენა მკაფიოდ მოსჩანს საბჭოთა ეპოქის ქართულ პოეზიაშიც.

კულტურული წარსულისადმი დამოკიდებულების ლენინურ-სტალინურ მოძღვრებაზე აღზრდილი ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი თავის ძვირფას მემკვიდრეობად სთვლის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას, ბეჯითად სწავლობს, ითვისებს და იყენებს მას სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში.

მოსკოვი

„ვეფხის-ტყაოსანი“ შუა-აზიაში

მოსკოვი, 22 ოქტომბერი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან

„ვეჩერნაია მოსკვას“ ტაშკენტელი კორესპონდენტი იუწყება: „იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი XIV საუკუნეში საქართველოდან გატანილ იქნა შუა-აზიაში, დიდ ინტერესს წარმოადგენს კვლევითი მუშაობა, რომელსაც ამჟამად ეწევა უზბეკეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული მეცნიერებათა კომიტეტის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი ამხ. მანსურ აფზალოვი.

მის მუშაობას ბიძგი მისცა შემდეგმა შემთხვევამ. გენიალური ქართული პოემის დაწერის 750 წლისთავის დღესასწაულზე ტაშკენტში ჩავიდა სახალხო მთქმელი ფაზილ იულდაშევი ბულუნგურის რაიონის კოლმეურნეობა „ყზილ მიხნათიდან“. როდესაც ის პოემა „ვეფხის-ტყაოსანს“ გაეცნო, მან განაცხადა, ჩვენს ყიშლაღში ამ პოემას ძველთაგანვე იცნობენ და ის ზეპირად თაობიდან თაობაზე გადადის. ამ პოემის სახელწოდებაა „იულბარის თერსინ კეიჩან ფალვან“ („ვეფხის-ტყაოსანი ფალავანი“).

ამხ. აფზალოვმა ჩაიწერა ეს პოემა მთქმელებისაგან. გამოირკვა, რომ მას დიდი მსგავსება აქვს ქართულ ორიგინალთან. გმირთა სახელებიც კი იგივეა. უზბეკური პოემა ნაწილობრივ ლექსადაა, ნაწილობრივ პროზით.

შემდგომი კვლევით აფზალოვმა აღმოაჩინა მთელი რიგი ხალხური ნაწარმოებები იმავე თემაზე. მაგალითად, ჩინაზის რაიონში შენახულია ზღაპარი „ბათირ არსლან“ („დევგმირი ლომი“) ვეფხის-ტყაოსან რაინდზე.

რაიმე საბოლოო დასკვნის გამოყვანა ჯერ კიდევ ნაადრევია, მაგრამ ის ფაქტი, რომ წარსულში „ვეფხის-ტყაოსანი“ შუა აზიაში ფართოდ იყო გავრცელებული, უეჭველად დასტურდება“.

ჩვენ გვწერენ

აფერისტ კუკავას ოინები

ზუგდიდის რაიონის სოფ. ორულერგეტაში ექიმის თანაშემწედ მუშაობს ვინმე მიშა კუკავა. ეს ვაჟბატონი ეწევა წამგლეჯაობას, კოლმეურნეთა ავადმყოფების გასინჯვაში 40-50 მანეთს თხოულობს. თუ რომელიმემ ვერ შესძლო კუკავას მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მეორეჯერ მის ავადმყოფს აღარ გაეკარება.

მ. კუკავას კარტის თამაში პროფესიად აქვს გადაქცეული, ეწევა ლოთობას, უხეშად არღვევს მთავრობის დადგენილებას და აბორტებს აკეთებს. იგი ატყუებს ახალგაზრდა ქალებს, არწმუნებს, რომ მათთვის აუცილებელია აბორტის გაკეთება. თვითეულ აბორტზე 300 მანეთს ღებულობს. მისი მიზეზით დასნეულდა ახალგაზრდა ქალი პ-ია, რომელიც ორ თვეზე მეტს მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ჯანსაღ ბავშვს კი სიცოცხლე წაართვა.

ავადმყოფ ვერა ხაზალია-გოგიას მ. კუკავას „დიაგნოზით“ ოპერაციის გაკეთება ესაჭიროებოდა. კუკავა თვითონ მოითხოვდა ოპერაციის გაკეთებას, ავადმყოფი და მისი მშობლები არ ეთანხმებოდნენ. როდესაც ავადმყოფის ქმარმა მიმართა კუკავას რჩევა-დარიგებისათვის, მან უჩვენა ყალბი საბუთი, თითქოს მას ჰქონდა ოპერაციის გაკეთების უფლება. თავხედმა კუკავამ ძალით გაუკეთა ოპერაცია ავადმყოფს, მოუწამლა სისხლი და ახალგაზრდა ქალი სიცოცხლეს გამოასალმა. ბავშვი კი სრულიად ჯანსაღი დაიბადა. კუკავას უვიცობა სპეციალისტმა გინეკოლოგმა ი. შენგელიამ დაადასტურა.

კუკავამ ახლა ქირურგობასაც მიჰყო ხელი. უკანასკნელად სოფ. ერგეტის მცხოვრებ მიხეილ დადიანზე მოიმარჯვა ექიმბაშური დანა, გაუკეთა ოპერაცია, გაუჭრა ძარღვი და ავადმყოფის სიცოცხლე კინაღამ იმსხვერპლა. დადიანი კვალიფიციური ექიმების ჩარევით გადარჩა სიკვდილს.

მ. კუკავას უმსგავსო მოქმედებას კარგად ხედავს რაიონის ჯანმრთელობის განყოფილება, მაგრამ მისი გამგე შალვა შონია რატომღაც ამას ყურადღებას არ აქცევს.

ტ. ხაზალია

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღმაშფოთებელი ფაქტები“

„კომუნისტის“ ამა წლის 22 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „აღმაშფოთებელი ფაქტები“, რომლის ავტორი აღნიშნავდა, რომ სოფელ ფოცხოს (ცხაკაიას რაიონი) მცხოვრებმა პეტრე და აკაკი მირცხულავებმა 1936 წლის 12 დეკემბერს წინასწარი განზრახვით მოჰკლეს ამავე სოფლის მცხოვრები ძუკუ (პლატონ) დგებუაძე.

წერილში ნათქვამი იყო, რომ ცხაკაიას რაიონის პროკურორმა ამხ. კვაშილავამ დამნაშავეების მიმართ დროულად არ მიიღო ზომები. საქმე ხელიდან ხელში გადადიოდა, ხოლო ბრალდებულები თავისუფლად დასეირნობდნენ, ერთერთმა ბრალდებულმა პეტრე მირცხულავამ ჩაიდინა მეორე — კიდევ უფრო საზიზღარი ბოროტმოქმედება.

მიმდინარე წლის მაისში ერ. ბარამიამ, პეტრე და ტრიფონ მირცხულავებმა, ნ. გოგიამ და ვალიკო ტორჩინავამ მოჰკლეს სოფ. დიდი-ჭყონის (გეგეჭკორის რაიონი) ბაზართან მიმავალი ამავე სოფლის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აქტიური წევრი ან. ჯგერენაია, სასიკვდილოდ დასჭრეს ვარ. ჯგერენაია, ხოლო კოსტა ჯგერენაიას ყურის მოჭრა დაუპირეს.

ცხაკაიას რაიონის პროკურორმა ამხ. კვაშილავამ და გეგეჭკორის რაიონის პროკურორმა ამხ. ფირცხალავამ დაუდევრობა გამოიჩინეს ამ საქმეში. მიმდინარე წლის სექტემბრამდე მკვლელი აკ. მირცხულავა თავისუფლად დასეირნობდა.

საქ. რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ამხ. ჯანჯღავა, რომელსაც აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გაგზავნილი, გვატყობინებს, რომ აღნიშნული საქმის გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვით ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონის პროკურორებს, რომლებმაც დაუდევრობა გამოიჩინეს. წინადადება მიეცა ცხაკაიას რაიპროკურორს ამხ. კვაშილავას და გამომძიებელ ამხ. გაგუას შეაერთონ ორივე საქმე ერთი საბრალდებო დასკვნით და საქმე სახ. სასამართლოში მოსმენილ იქნას 5 დღეში.

გაიცა სანქცია ბრალდებულ აკ. მირცხულავას დაპატიმრებაზე.

საქ. რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის ამხ. ჯანჯღავას პასუხი რედაქციას არ აკმაყოფილებს, ვინაიდან, როგორც თვითონ ამხ. ჯანჯღავა გვატყობინებს, საქმის გაჭიანურებაში, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი, ბრალი მიუძღვით გარკვეულ პირებს, მაგრამ მათ მიმართ ზომები არავის მიუღია, ხოლო რედაქციისადმი მიცემული დაპირება საქმის 5 დღეში დამთავრების შესახებ დღემდისაც არ არის შესრულებული.

რედაქცია მოითხოვს საქ. რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ი. ტალახაძის სათანადო განკარგულებას.

მყინვარწვერის მაღალმთიანი მეტეო-სადგურის მოზამთრეთა ერთი ჯგუფი. შუაში—მეტეო-სადგურის უფროსი ამხ. ე. ჭკუასელი; მარცხნივ მოზამთრე ამხ. მ. თამაზიანი; მარჯვნივ ამხ. ვლ. იმნაძე. ფოტო დ. ლომთაძისა

მყინვარწვერზე მთელ ზამთარში

მყინვარწვერის კალთაზე, ზღვის დონიდან 1019 მეტრის სიმაღლეზე, დიდიხანია მოწყობილია და მუშაობს ე. წ. მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ერთეულია საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის სადგურებს შორის.

ამ სადგურზე ზამთრის პერიოდში სამუშაოდ საქართველოს ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამმართველო ჰგზავნის მოზამთრეთა ახალ ჯგუფს, რომელმაც უნდა შესცვალოს გასულ წელს იქ გაგზავნილი მოზამთრეთა ჯგუფი. მოზამთრენი უკვე გაემგზავრნენ ყაზბეგისაკენ. მოზამთრეთა ჯგუფში შედიან: ამხ. ევგენი ჭკუასელი (მეტეო-სადგურის უფროსი), ვახტანგ ხუციშვილი (ძველი მოზამთრე და მეტეოსადგურის უფროსი მეთვალყურე), ლ. ჟორდანია (რადისტი), ვლადიმერ სუჯიაშვილი მოხევე ალპინისტი) და ვლადიმერ იმნაძე. მათთან ერთად მეტეოროლოგიურ სადგურზე უნდა ავიდეს მოზამთრე ამხ. მიტ. თამაზიანი.

მწვერვალისაკენ მოზამთრეთა ჯგუფი გავა სოფ. გერგეტის გზით (ს. ყაზბეგიდან) უახლოეს ორ-სამ დღეში. მთელი ზამთრისათვის მათთვის საჭირო სურსათ-სანოვაგე, იარაღი, ტანისამოსი, შეშა, ნავთი და სხვა მოწყობილობა უკვე ატანილია მეტეოროლოგიურ სადგურზე.

3 ათასი წლის წინათ ჩვენს ერამდე

არქეოლოგიური გათხრები წალკის რაიონში

წალკის რაიონიდან დაბრუნდა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მოწყობილია საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ.

უკვე მესამე წელია, რაც პროფესორ კუფტინის ხელმძღვანელობით ეს ექსპედიცია გათხრებს აწარმოებს წალკის რაიონში იმ ტერიტორიაზე, რომელიც წყლით უნდა დაიფაროს ხელოვნური წყალსაცავის მოწყობის მიზნით, რომლის სამუშაოებსაც ხრამის ჰიდროელექტრონის სადგური (ხრამჰესი) აწარმოებს. ექსპედიციამ სოფელ შიპიაკის ახლოს ერთერთ ყორღანოში ბაჯაღლო ოქროს თასი აღმოაჩინა, წონით დაახლოებით 250 გრამი, რომელიც შემკულია ფილიგრანით, ფირუზით და სარდიონით, და აქვს აჟურული ფეხი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სუფთა მხატვრული ნამუშევარი ვერცხლის პირიანი სატევარი. ასეთივე სატევარი ნაპოვნი იყო მეფის საფლავში ქ. ურში (მესოპოტამია) და იგი ახლა ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ლონდონში. მეორე ყორღანში იპოვნეს ოქროს სამკაულები, ბრინჯაოს სამსხვერპლო ჭურჭელი და განსაცვიფრებელი სინაზითა და ოსტატობით ნამუშევარი შუბის წვერი.

საინტერესო მასალებია ნაპოვნი საფლავების გათხრის დროს. ერთერთ მათგანში აღმოჩენილია ორი წამგალი ბრინჯაოსი და ხისა კაჟის სამაგრებიანი (ეგვიპტური ტიპის); მეორეში უნიკალური, მდიდრულად ორნამენტირებული ფეხებიანი თასი და ბრინჯაოს სამკაული.

— 1938 წლის მუშაობა და აღმოჩენები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამბობს პროფესორი ბ. ა. კუფტინი,—ჩემს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიისა და, კერძოდ საქართველოს მაღალი ზეგნების ტერიტორიაზე, შორეულ წარსულში არსებობდნენ მნიშვნელოვანი კულტურული კერები, საგვარეულო საზოგადოების სტადიისა, რაც დაკავშირებულია მცირე აზიისა და მესოპოტამიის (ხეთურ, მიტანიურ, ვანურ, სუმერულ) დიდ სახელმწიფოებრივ ორგანიზმებთან.

ყველა აღმოჩენა გადაცემულია დასამუშავებლად, შესანახად და შემდეგ საქართველოს მუზეუმში გამოსაფენად. ექსპედიციის მასალები გამოქვეყნებულ იქნება კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების გამოცემაში. (საქდესი).

სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს კრივონოსელმა მემანქანემ ამხ. პ. ვ. ხაჯალიამ ლენინურ-სტალინური კომკავშირის XX წლისთავთან დაკავშირებით იკისრა ვალდებულება ორთქლმავლის გაურეცხად გაიაროს 30 ათასი კილომეტრი.

სურათზე: ამხ. ხაჯალია თავის ორთქლმავალთან.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ჩაის საჩვენებელი მაღაზია

ამ დღეებში სასტუმრო „თბილისის“ პირველ სართულში რუსთაველის პროსპექტზე ტრესტ „საქართველოს ჩაი“ გახსნის ჩაის საჩვენებელ მაღაზიას.

უკვე შერჩეული არიან კვალიფიციური მომუშავენი; მაღაზია მომსახურებას გაუწევს ფართო მოსახლეობას საუკეთესო ხარისხის ჩაით, ციტრუსებით და სხვადასხვა სასმელებით.

მაღაზია მხატვრულად იქნება გაფორმებული. ვიტრინებში მოწყობილი იქნება მექანიზებული გამოფენა, რომელიც ასახავს სუბტროპიკულ კულტურათა განვითარების საქმეში მიღწეულ წარმატებებს.

მაღაზიას ექნება აგრეთვე შემკვეთი მაგიდა. რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს საქონლის ბინაზე მიტანით. (საქდესი).

„სულიკოს“ მელოდიის ავტორად აღიარებულია ვარინკა წერეთელი

თათბირი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში

საქართველოს კომპოზიტორების კავშირში ამასწინათ გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. შალვა დადიანი, საქ. სახალხო არტისტი კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, ორდენოსანი კომპოზიტორი ი. გოკიელი, მომღერალი ვარინკა წერეთელი, მეჩონგურეთა ანსამბლის ხელმძღვანელი ა. მეგრელიძე და სხვ.

თათბირმა განიხილა „სულიკოს“ მელოდიის ავტორობის საკითხი. ამ საკითხის შესახებ აზრი გამოსთქვეს კ. ფოცხვერაშვილმა, ა. მეგრელიძემ და შ. დადიანმა. ყველამ ერთსულოვნად აღიარა, რომ „სულიკოს“ მელოდიის ავტორი არის ვარინკა წერეთელი, რომელსაც 1895 წელს აკაკი წერეთელმა პირადად გადასცა „სულიკოს“ ტექსტი და სთხოვა დაემღერებინა იგი გიტარაზე.

თათბირზე გამოაქვეყნეს აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სანდრო კავსაძის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ მელოდიის ავტორად სანდრო კავსაძეც ვ. წერეთელს აღიარებს.

მიიღო რა, მხედველობაში ყველა აქ გამოთქმული მოსაზრებანი, „სულიკოს“ მელოდიის ავტორად თათბირმა ერთსულოვნად აღიარა მომღერალი ვარინკა წერეთელი.

სიტყვები აკაკი წერეთლისა

ვარინკა წერეთლის კილო, ჩაწერილი კ. ფოცხვერაშვილის მიერ 1900 წელს.



აკაკი წერეთელი

სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე დაკარგულიყო.
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო“!

ეკალში ვარდი შევნიშნე
ობლად რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო“?

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.

სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო.
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო“?

შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახო“!

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო“?

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო,
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო.

„სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათო.
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეყნად შეგიყვარდათო“.

მენიშნა!.. აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარ შევჩივი ქვეყანას,
აღარ ვღვრი ცრემლებს მდუღარეს.

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს
ვუნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამოითქმის ენითა.

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდე რომ მწარედ კრულიყო,
ახლა კი ვიცი სადა ხარ:
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

ლიტერატურული საღამო

24 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე! ვორონცოვის სახელობის კლუბში საბჭოთა მწერლების კავშირი კლუბის დირექციასთან ერთად მართავს კომკავშირის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოს.

მოხსენებას „კომკავშირი და მხატვრული მწერლობა“ გააკეთებს ამხ. დ. ბენაშვილი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: ალ. მაშაშვილი, სიმ. ჩიქოვანი, ს. ეული, კ. კალაძე და ირ. აბაშიძე. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ადგილობრივი თვითმოქმედი წრეები.

ვალენტინა სევასტიანოვას მკვლელობა

8 ოქტომბერს საღამოს, გვიან, გრივაშის ბინაში (პასტერის ქუჩაზე) გაისმა ზარი. ბინის პატრონის შვილმა კარი გააღო. ბინაში შემოიჭრა მისი ნაცნობი ქალიშვილი 17 წლის ვალენტინა სევასტიანოვა, რომელიც დაჭრილი იყო მკერდის არეში. სევასტიანოვა წაიყვანეს სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში, სადაც მორიგე ექიმმა დაადასტურა გულის ჭრილობა. დაუყოვნებლივ ყველაფერი მომზადებულ იქნა ოპერაციისათვის, მაგრამ ვ. სევასტიანოვა საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.

ვინ მოჰკლა სევასტიანოვა, გაუგებარი დარჩა.

მილიციის მე-5 განყოფილების მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ სევასტიანოვას მკვლელობა ჩაიდინა 19 წლის ირაკლი დიდიამ, რომელიც უკანასკნელ ხანებში მუშაობდა ქ. თბილისის ერთერთ გარაჟში შოფერის თანაშემწედ.

ვალენტინა სევასტიანოვა — I საფერშლო სკოლის 1-ლი კურსის მოსწავლე იყო. თავის ანაბარად მიტოვებული 17 წლის სევასტიანოვა მალე მოექცა ქუჩის გავლენის ქვეშ. მან დაიწყო სიარული კაფეებში, რესტორანებში, აცდენდა მეცადინეობას და ამის გამო ვერ შესძლო მე-2 კურსზე გადასვლა... რამდენიმე თვის წინათ სევასტიანოვამ გაიცნო ი. დიდია, რომელიც იმ დროს მდინარე მტკვარზე მაშველად მუშაობდა. მასთან ერთად იგი ხშირად დადიოდა საცეკვაო მოედნებზე, პარკებში, რესტორანებში. ხშირად მართავდნენ ქეიფს. უკანასკნელ ხანებში სევასტიანოვას და დიდიას შორის დამოკიდებულება შეიცვალა და სევასტიანოვა მასთან აღარ დადიოდა. დიდიას მეგობრებმა მას დაცინვა დაუწყეს. ი. დიდიამ შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავი და გადასწყვიტა მოეკლა ქალიშვილი, რომელმაც მას უღალატა.

8 ოქტომბერს, საღამოს ი. დიდიამ მოამზადა დანა, „გამბედაობის მოსამატებლად“ გადაჰკრა ორი ჭიქა არაყი. გასწია საფერშლო სკოლის შენობისაკენ, სადაც ვალენტინა სევასტიანოვა სწავლობდა, და დაუწყო მას ცდა. მალე სევასტიანოვა ორი ამხანაგით გამოვიდა სკოლიდან. დიდიამ სევასტიანოვა გაიყვანა განზე და დაჰკრა დანა გულის არეში. მიუხედავად იმისა, რომ სევასტიანოვა გულში იყო დაჭრილი, მან კიდევ შესძლო 60 მეტრამდე გარბენა ნაცნობების ბინამდე.

ი. დიდია დაპატიმრებულია და გამოტყდა მკვლელობაში. მთავრდება საქმის გამოძიება. უახლოეს ხანებში ამ საქმეს სასამართლო გაარჩევს.

გ. სუხიაშვილი

გასწორება

„კომუნისტის“ 22 ოქტომბრის ნომერში, მეოთხე გვერდზე, წერილში: „ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება და მეფის ჟანდარმერია“ პირველი სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „პირსისხლიანი მეფის დამქაშები თვალყურს ადევნებდნენ ამას. არქივის გაყვითლებული საბუთები ნათლად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა მტრულად შეხვდნენ ისინი განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას“... და ა. შ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

23 ოქტომბერს:

საერთაშორისო მდგომარეობის კაბინეტი — ლექცია: ახალი მსოფლიო ომის საფრთხე და ფაშისტური იტალიის საგარეო პოლიტიკა. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. ჟორჟიკაშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ვლკკ კაბინეტი — ლექცია: ლენინის სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად-რუსეთის III ყრილობაზე. ახალგაზრდობის კავშირების ამოცანები. რუსულ ენაზე, ლექტორი ამხ. მამიანი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ალექსანდრე ნესტორის-ძე მოსიავას (გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი), მელიტონ ათანასეს-ძე ვაშაკიძეს და იპოლიტე მიხეილის-ძე ესაკიას 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ჩიხლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი 21).

ქვანახშირი და მარგანეცი

21 ოქტომბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1004	598	59,6
ტყვარჩელი	707	587	83
ჭიათურა	5530	4782	86,5

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

23/X	24/X
მუდ. ადგ. ტალ. № 8	მუდ. ადგ. ტალ. № 9
აბონემ. ს. № 3	აბონემ. ს. № 4
რიგოლეტო	წყნარი დონი

დასაწყისი 8 საათზე
აბონემენტების წარმოდგენები დაიწყო 21 ოქტომბრიდან.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

23/X	ფიგაროს ქორწინება
24/X	დილით შური დასაწყ. 12 ს.
24/X	საღამოს ნაპერწკლიდან

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

23/X	წარმოდგენა 31 ნაპერწკლიდან
24/X	წარმოდგენა 32 უდანაშაულოდ დამნაშავენი კრუჩინინა—თ. ბაქრაძე. შმაგა—დ. მჟავია.

23 ოქტომბრიდან დაიწყო მუდმივი ბილეთების დარჩენილი ნაწილის გაცემა. მიღების დროს სავალდებულოა მეორე შემოსატანი, აგრეთვე დაწესებულებათა მინდობილობა.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

ფილარმონია—რუსთაველის თეატრის
საკონცერტო დარბაზი
1938—39 წლ. სეზონი.

24 ოქტომბერს ტალონი № 1
1-ლი აბონემენტის 1-ლი კონცერტი
25 ოქტომბერს ტალონი № 2
1-ლი აბონემენტის მე-2 კონცერტი

სეზონის გახსნა
პიანისტების სრულიად-საკავშირო კონკურსის
ლაურეატის
ისააკ მახნოვსკის
(მოსკოვი)
კონცერტები
მრავალფეროვანი პროგრამით

ბილეთები და აბონემენტები იყიდება რუსთაველის თეატრის სალაროში—დღის 12-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე. დადებულ ხელშეკრულებების მიხედვით მუდმივ ადგილებზე ტალონების გაცემა სწარმოებს 23 ოქტომბრამდე, დღის 12-დან 3 საათამდე რუსთაველის თეატრის სალაროში. მიღების დროს საჭიროა მინდობილობა. 50

სახოპერა
24 ოქტომბერი
დილის პირველი წარმოდგენა
სევილიელი დალაქი
შეღავათიან ფასებში.
დასაწყისი დღის 12 საათზე.
75

ექიმი
მ. ბ. მახნაზაროვი
ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 10-დან 12 ს-მდე საღამოს 5 ს-დან 8 ს-მდე. მისამართი: კრასნოგორსკის ქ. № 33. სადარბაზო შესასვლელი. 19466

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წ. 17 ნოემბერს, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ა. რ. მურაჩაშვილი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოს კოოპერაცია მეფის მთავრობის დროს“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. გ. გეხტმანი და პროფ. ნ. ქოიავა.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე.
100

თბილისის ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს შინაგან სნეულებათა
კათედრის გამგებლობაზე.
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
2. ცნობა სამეცნიერო ხარისხის და წოდების შესახებ.
3. შრომები და შრომების სია.
4. რეცენზიები ამ შრომების შესახებ.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის კანცელარიაში (ლუნაჩარსკის ქ., № 12) ა. წ. 5 ნოემბრამდე.
1342 დირექცია.

თანახმად არტელ „ინშრომის“ წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, ხდება არტელ „ინშრომის“
ლიკვიდაცია
ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია მოვალეა ყოველგვარი პრეტენზიებით მიმართოს ლიკვიდკომს, რომელიც მოთავსებულია რიყის ქუჩაზე, № 93, ა. წ. 31 ოქტომბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება.
21242 ლიკვიდკომი.

თანახმად საქ. ტყავრემონტკავშირის პრეზიდიუმის ა. წ. 2 ოქტომბრის დადგენილებისა ოქმი № 6, ქალ. თბილისში არსებულ არტ. „ჩუსტის“ სახელწოდება შეცვლილია არტ.
„განახლებაზე“
21210

თბ. საბჭოს ადგილობ. მრეწველობის განყოფილება.

საშაქარლამო ქარხანა № 2 დასკვნითი ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი (ათას მანეთებში) პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებები	157,2	1	საწესდებო ფონდი	87,0
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	96,7	2	რეზერვები და მოსალოდნელი გადასახდელები	0,8
3	მზანაწარმი და საქონელი	83,7	3	მოკლევადიანი კრედიტები	9,0
4	ფულადი საშუალებები	32,1	4	ანგარიშსწორებანი	78,5
5	ანგარიშსწორებანი	84,7	5	დაგროვება საანგარიშო წლისა	311,3
6	მომავალი დროის ხარჯები	11,6			
7	შინაანგარიშსწორებანი	20,6			
	ბალანსი	486,6		ბალანსი	486,6

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში 1937 წ. (ათას მან.)

1.	სხვა დანაკარგები	31,4	1.	დაგროვება რეალიზაციით	336,1
2.	წმინდა დაგროვება	311,3	2.	სხვა დაგროვებანი	6,6
	ბალანსი	342,7		ბალანსი	342,7

დირექტორი თ. ხავინა. მთ. ბუღალტერი ა. ჯაფარიძე.

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1938 წ. 31 მაისს (ოქმი № 42) და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1789 თბილისის საბჭოს ადგილ. მრეწველობის განყოფილების ფინსექტორის გამგე—მთ. ბუღალტერი მ. ჩიქოვანი.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. ფოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 63.

მთავლიტის რწმუნებული Დ—1415